ცვლილებების მენეჯმენტი

სახელმძღვანელო ინსტრუმენტი

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებისთვის

Partnership for Good Governance

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ცვლილების მენეჯმენტი

სახელმძღვანელო ინსტრუმენტი
ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებისთვის

ევროპის საბჭო

ეს დოკუმენტი შეიქმნა ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტის დაფინანსებით. წინამდებარე დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული ევროკავშირი-სა და ევროსაბჭოს ოფიციალურ პოზიციად. ყველა უფლება დაცულია. ამ გამოქვეყნების არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იყოს ნათარგმნი, გამრავლებული ან გაცემული, ნებისმიერი ფორმით, ან ნებისმიერი საშუალებით, ელექტრონული (CD-Rom, ინტერნეტი და ა.შ) ან მექანიკური, მათ შორის ქსეროქსი, ჩაწერა ან საძიებო სისტემა, წინასწარი ნებართვის გარეშე ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებათა კონგრესის მიერ (F-67075 Strasbourg Cedex ან congress.adm@coe.int)

პირველი გამოცემა, ნოემბერი 2017
გამოცემულია თბილისში, VT Georgia-ს მიერ

გარეკანის დიზაინი და მაკეტი:
რგოლი, საქართველო

ავტორი
ეს ანგარიში შედგენილია საერთაშორისო
განვითარების ორგანიზაცია (IOD PARC)-ის მიერ

სარჩევი

წინასიტყვა	4
შესავალი სახელმძღვანელოსადმი	6
თემის მაჩვენებლების ადაპტირებული სისტემა	11
ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები	19
ცოდნის დამოკიდებულებისა და ქცევის მოკლე კვლევა	32
ფოკუს ჯგუფები	42
ინსტრუმენტი წარმატების ისტორია	55
არასავალდებულო მნიშვნელოვანი ცვლილების ისტორიის ნიმუში	58
ძირითადი ციკლის და მონიტორინგის გეგმა60	60

წინასიტყვა



დღევანდელ ცვალებად სამყაროში, ხელისუფლება და მისი სხვა და სხვა საფეხურები - ეს კარგად იცის ადგილობრივი მმართველობის ხელისუფლებამაც - ყოველდღიურად ადაპტირების აუცილებლობის წინაშე დგება. თუმცა, მათი ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროებაა შესაბამისი პასუხის გაცემა იმ გამოწვევებზე, რომლებიც წარმოიქმნება. უფრო მეტიც, მოქალაქეთა მზარდ და ინფორმირებულ მოთხოვნებზე რეაგირების მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შემოიტანოს ცვლილება, რათა უზრუნველყოს უკეთესი და შესაბამისი საჯარო მომსახურება, და ამავე დროს ეფექტური ადმინისტრაცია. ამჟამად მოქალაქეთა მოლოდინი განსაკუთრებით მაღალია და მის უპასუხოდ დატოვებას შესაძლებელია მოჰყვეს შედეგები როგორიცაა მოქალაქეთა კმაყოფილების დაცემა და მთლიანობაში, საზოგადოებრივი ნდობის შესუსტება.

ადგილობრივი ხელისუფლება მხოლოდ ნამდვილი დემოკრატიული მმართველობის უზრუნველყოფით შეძლებს ცვლილებების შემოტანას და მოქალაქეთა მოლოდინის დაკმაყოფილებას. ეს კი შესაძლებელია ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ხელშეწყობით და ეფექტური და ანგარიშვალდებული დაწესებულებების ჩამოყალიბებით.

აქედან გამომდინარე, გამჭვირვალე ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაცია, რომელიც ეთიკურ საქციელზე, ღია მმართველობაზე და ანგარიშვალდებულებაზეა დაფუძნებული, არის მნიშვნელოვანი. ამ თვალსაზრისით, ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებათა კონგრესი, როგორც პოლიტიკური ფორუმი და პარტნიორი ევროპაში ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის ხარისხის ამაღლებაში, პირდაპირ მუშაობს სომხეთში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში, რათა ამ ქვეყნების როლი როგორც ცვლილებების წინამძღოლი იყოს გაძლიერებული.

ადგილობრივი დემოკრატიის ხარისხის გაზომვა არის მოთხოვნადი ამოცანა, განსაკუთრებით მაშინ როდესაც სა-

წინასიტყვა

კითხი ეხება მონაცემებზე მუშაობას და შესაბამისი ცვლილების წამოწყებას, სადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს თავისი პოლიტიკის, სერვისებისა და მიდგომების ორიენტირება მოქალაქეთა მოლოდინების დასაკმაყოფილებლად. სათანადო პასუხები საჭიროებს სათანადო მენეჯმენტს და, რაც მთავარია, მუდმივ მონიტორინგს.

აქედან გამომდინარე, გამოცდილების საფუძველზე, კერძოდ, ადგილობრივი ინიციატივების გამჭვირვალეობასა და მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ, რომლებსაც მხარს უჭერს კონგრესის სამდივნო, ეს ინსტრუმენტი მიზნად ისახავს დაეხმაროს ადგილობრივ ხელისუფლებას გამოვლენილი გამოწვევების მოსაგვარებად, საჭიროებების დასადგენად და მოთხოვნილებებზე დაფუძნებული და რეაგირებადი პოლიტიკის განვითარებაში. იგი უზრუნველყოფს ეტაპობრივ ხელმძღვანელობას და ცვლილებების ეფექტურ მენეჯმენტს ადგილობრივ დასახელებებში.

მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური და შემოქმედებითი გზები, მათ შორის ქალებთან, ახალგაზრდებთან და უმცირესობებთან ერთად, 21-ე საუკუნეში წარმოადგენს დემოკრატიული მმართველობის ლაკმუსის ტესტირებას და ამ ინსტრუმენტის სახელმძღვანელოში, კონგრესს თავისი წვლილი შეაქვს.

ანდრეას კიფერი

გენერალური მდივანი
ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებათა კონგრესი

შესავალი სახელმძღვანელოსადმი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია დაეხმაროს და უზრუნველყოს პრაქტიკული საშუალებებით მერები, ადგილობრივად არჩეული წარმომადგენლები და საჯარო მოხელეები, რათა განიხილონ და შეაგროვონ შესაბამისი მონაცემები პროექტებსა და/ან ადგილობრივ ინიციატივებზე. სახელმძღვანელო დამზადდა «საერთაშორისო განვითარების ორგანიზაცი (IOD PARC) »-ის ხელშეწყობით, რომლის სათავო ოფისი დიდ ბრიტანეთშია და რომელიც მუშაობს ირგანიზაციების განვითარებაზე და მათი პერფორმანსის შეფასებაზე. ეს სახელმძღვანელო შესრულდა სომხეთის, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ადგილობრივი ხელისუფლებების დასახმარებლად ეთიკური, გამჭვირვალე და მოქალაქის ჩართულობის ინიციატივების განხორციელებაში. სახელმძღვანელოს დამატებითი მიზანია იყოს ცვლილების შემაფასებელი ინსტრუმენტი ნებისმიერი ადგილობრივი პროექტის ან ინიაციტივის ფარგლებში.

ეს სახელმძღვანელო მომზადებულია თემატური პროგრამის "ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება" ფარგლებში, დაფინანსებულია ევრო კავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ და განხორციელებულია ევროპის საბჭოს მიერ, პროგრამის "პარტიონორბა კარგი მმართველობისთვის (PGG) 2015-2017 სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდავეთის რესპუბლიკა, უკრაინა და ბელორუსია" ფარგლებში. განხორციელებულია ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებათა კონგრესის სამდივნოს მიერ, დემოკრატიის გენერალურ დირექციასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

თემატური პროგრამის მიზანია ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმის მიმდინარე პროცესებს შეუწყოს ხელი და წინ

როგორ გამოვიყენოთ წინამდებარე დოკუმენტი

გთხოვთ წინამდებარე დოკუმენტის ინსტრუმენტები და წინადადებები გამოიყენოთ საჭიროების მიხედვით.

მათი გამოყენება შეიძლება პროექტის განხორციელების დროს, ასევე შეგიძლიათ ისინი დამოუკიდებლად მოიხსენიოთ.

და ბოლოს, გთხოვთ გამოიყენოთ წინამდებარე დოკუმენტი როგორც თქვენს მოსახლეობასთან კავშირის კარგი ამოსავალი წერტილი

შესავალი

წაწიოს ადგილობრივი ხელისუფლების ეთიკური საქციელი ზემოთ მოხსენიებულ ქვეყნებში. კერძოდ, იგი მიზნად ისახავს გააძლიეროს ეფექტური, გამჭვირვალე და ეთიკური მმართველობა ადგილობრივ ხელისუფლებათა დონეზე და გაზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინსტრუმენტები მორგებულია მერების, ადგილობრივად არჩეული წარმომადგენელების და საჯარო მოხელეების საჭიროებებზე. მიუხედავად ამისა, რამდენიმე მათგანი საჭიროებს უფრო მეტ ცოდნას, ვიდრე გააჩნია დამწყებ მომხმარებელს. გარდა ამისა, თითოეული ინსტრუმენტის განხორციელებისთვის საჭიროა ძალისხმევის სხვადასხვა დონე. პირველ ცხრილში, ქვემოთ, მოცემულია საჭირო ინიციატივის[1] (მაღალი, საშუალო, დაბალი) და კვალიფიკაციის[2] (დამწყები, საშუალო, გამოცდილი) დონე, ინსტრუმენტის მიხედვით. იგი ასევე მოიცავს წერტილებს განხილვის მიზნით, რომლებიც ეხება მონაცემთა ხარისხსა და ეთიკის საკითხებს. გთხოვთ გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული ცხრილი ინსტრუმენტების საშუალებით მუშობისას.

---

1 დაბალი: 1 თვის სამუშაო თავიდან (პროექტიდან) ბოლომდე (მოხსენებამდე); საშუალო: 1-დან 2 თვემდე სამუშაო შესრულებული თავიდან ბოლომდე; მაღალი: 2 თვეზე მეტი

2 დამწყები: არასოდეს გამოუყენებია ინსტრუმენტი; საშუალო: გამოყენებული აქვს ინტრუმენტი; გამოცდილი: გამოიყენა ინსტრუმენტი სხვადასხვა პარამეტრებზე მუშაობისას და შეუძლია თავისუფლად მუშაობა ყველა ასპექტის დიზაინზე, ანალიზზე და მონახაზის შედგენა შეკრეფილ მონაცემებზე.

დოკუმენტში წარმოდგენილია შესავალი სახელმძღვანელოები მონიტორინგის და მიმოხილვის 6 ინსტრუმენტისთვის. ამ დოკუმენტის სტრუქტურაში ექვსივე ინსტრუმენტი წარმოდგენილია საჭიროების შესაბამისად. ის იწყება საბაზისო გეგმაში გამოყენებული ინსტრუმენტებით:

1) თემის ქულების ადაპტირებული ბარათი;
2) ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები; და,
3) ცოდნის დამოკიდებულებისა და ქცევის მოკლე მიმოხილვა.

შემდეგ მოცემულია ის ინსტრუმენტები, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს მონიტორინგისა და მიმოხილვისთვის:

4) ფოკუს ჯგუფები;
5) წარმატების ისტორია; და,
6) მნიშვნელოვანი ცვლილების ისტორია (არასავალდებულო).

და ბოლოს, მოცემულია გეგმა იმ შემთხვევისთვის, თუ თქვენ ისურვებთ ინსტრუმენტების გაერთიანებას, საბაზისო გეგმის და მონიტორინგის სისტემის მიღების მიზნით.

ცხრილი 1: ძალისხმევის და კვალიფიკაციის დონის განმარტება ინსტრუმენტის მიხედვით

ინსტრუმენტი	ძალისხმევა	კვალიფიკაციის დონე	გასათვალისწინებელი რჩევა
თემის ქულების ადაპტირებული ბარათი	დაბალი-საშუალო ინიციატივის დონე უფრო მაღალია, თუ თემი მონაწილეობს კრიტერიუმების დადგენაში.	დამწყები უნდა იყოს თავდაჯერებული საჯარო შეხვედრის ჩატარებისას და ასევე ხმის მიცემის პროცესის მართვისას.	თუ თემი არ მონაწილეობს კრიტერიუმების დადგენაში, ის უნდა დაეთანხმოს შესაფასებელ კრიტერიუმებს.
ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები	საშუალო-მაღალი დამოკიდებულია კვლევის მასშტაბზე და შენიშვნების დეტალებზე. შედეგების ანალიზი მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო დიდია რიცხვი.	გამოცდილი ინტერვიუს კარგად ჩატარება არის დროის განმავლობაში გამომუშავებული უნარი.	გაითვალისწინეთ ვინა ჩაატარებს ინტერვიუს და ვისთან. შეუძლია თუ არა რესპონდენტს თავისუფლად საუბარი? არის თუ არა ინტერვიუს ჩატარების ადგილი უსაფრთხო? მაქსიმალურად უზრუნველყავით ინტერვიუების კონფიდენციალობა. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა მონაცემები, რომელიც დაკავშირებულია ინტერვიუებთან უნდა ინახებოდეს კონფიდენციალობის დაცვით და თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, არ მოხდება რესპონდენტის იდენტიფიცირება (მაგ. x პირმა თქვა y) არცერთ მოხსენებაში.
ფოკუს ჯგუფები	საშუალო-მაღალი ფოკუს ჯგუფის მომზადება და მუშაობა საჭიროებს გარკვეულ დროს. შედეგების ანალიზი ასევე არის მით უფრო ინტენსიური, რაც უფრო დიდია რიცხვი.	გამოცდილი ფასილიტატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველას მიეცეს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. ასევე მნიშვნელოვანია სიმშვიდის დაცვა და საუბრის წარმართვა.	შეძლებისდაგვარად უზრუნველყავით გენდერული ბალანსი და ასაკობრივი ჯგუფები. სთხოვეთ მონაწილეებს, რომ დაიცვან სრული კონფიდენციალობა ფოკუს ჯგუფებში მუშაობის დროს მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.
ცოდნის, დამოკიდებულებისა და ქცევის მოკლე მიმოხილვა	საშუალო ინიციატივის დონე პასუხობს კვლევის მასშტაბს.	დამწყები-საშუალო უნარი გამოიხატება კარგი კითხვების დასმაში და პასუხების გაანალიზებაში.	იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა ხარისხი და ეთიკა კვლევის მონაწილეებთან მუშაობისას, ინტერვიუერმა უნდა დაარწმუნოს რესპონდენტი მისი პასუხების კონფიდენციალობაში.

წარმატების ისტორია	დაბალი ისტორიის შერჩევის შემდეგ სამუშაოს დიდი ნაწილი შესრულებულია.	დამწყები ამისთვის საჭიროა კომპეტენტური პირი, რომელიც კარგად ჩამოაყალიბებს ისტორიას.	ეს ისტორია ერთერთია მათ შორის, რომლებიც მოსწონს თემს და მუნიციპალიტეტს, ამიტომ მისი არჩევა უფრო მარტივია, ვიდრე ქვემოთ მოცემული ისტორიის ცვლილების ინსტრუმენტი. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიის დამტკიცება. მაგალითად, მართლა გააკეთა თუ არა ადამიანმა ის, რასაც ამბობს? დაამტკიცეთ ეს. შემდეგ ასევე დაამტკიცეთ ამის შედეგები.
მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ ისტორია (არასავალდებულო)	მაღალი მნიშვნელოვანი ისტორიის არჩევის უზრუნველსაყოფად, თემმა უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევაში.	საშუალო-გამოცდილი ამ ისტორიის შედგენა ინტერვიუს ჩატარების მსგავსია, შესაბამისად საჭიროა უფრო განვითარებული უნარები, ვიდრე წარმატების ისტორია.	გაითვალისწინეთ, რომ ამ შემთხვევაში არჩევანი ძალიან მნიშვნელოვანია. ისტორიის ინსტრუმენტს საფუძვლად უდევს დეტალური მეთოდოლოგია. ის ადაპტირებულია შესაბამისი გამოყენებისთვის, თუმცა ისევე მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ თემის ყველა წევრს აქვს აზრის გამოთქმის უფლება ისტორიის არჩევისას.

ხელსაწყო 1

თემის ქულების ადაპტირებული ბარათი

მოკლე აღწერილობა

თემის მაჩვენებლის შეფასების პროცესის მეშვეობით, თემს აქვს შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა მომსახურების შეფასებაში ან თემის ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებში. ის უზრუნველყოფს უშუალო უკუკავშირს არჩეული ოფიციალური პირებისთვის, რომლებსაც თავის მხრივ შეუძლიათ მიანიჭონ პრიორიტეტი მუნიციპალიტეტის საქმიანობას.

ის აყალიბებს თემის აზრს, გამჭვირვალობას და ზრდის ანგარიშვალდებულებას.

შესავალი

თემის ქულების ბარათის (CSC) პროცესი არის თემზე დაფუძნებული მონიტორინგის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით ხორციელდება მომსახურების მომწოდებლების სოციალური და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებისა და რეაგირების განსაზღვრა. მასში გამოყენებულია „თემი“ როგორც ანალიზის ერთეული და ის ორიენტირებულია ადგილობრივი დონის მონიტორინგზე. ეს არის უფლებამოსილების ძლიერი ინსტრუმენტი, ვინაიდან აერთიანებს მომსახურების მომწოდებლებს და ბენეფიციარებს. ის აერთიანებს მომხმარებლის მიერ ხარისხის, ეფექტურობისა და გამჭვირვალობის აღქმას.

თემის მაჩვენებლების ეფექტური შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი კრიტერიუმები. კურსივის შრიფტით ჩამოყალიბებულია ჩვენი ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმუშავებს თემის მაჩვენებლების სისტემა რეგიონალური პროგრამისთვის აღნიშნული კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით.

1. მმართველობის სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის და სახელმწიფო ფინანსების სტრუქტურის გაგება დეცენტრალიზებულ დონეზე. მერი დაეხმარება თემს კითხვების შემუშავებაში და უზრუნველყოფს ყველა უთანხმოების დაუყოვნებლივ გადაჭრას.
2. შუალედური ჯგუფის ტექნიკური უნარები პროცესის ხელშეწყობის მიზნით. პროცესის ხელშეწყობის მიზნით სასურველია ტრენერის ადგილზე ყოფნა.
3. ძლიერი საჯარო კამპანია თემის და სხვა ადგილობრივი დაინტერესებული პირების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. შემოთავაზებულია, რომ მაჩვენებლების სისტემა გამოყენებული იყოს პროექტის გაშვების ღონისძიებაზე თემის თანდას-

წრებით.

4. ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ინტერაქტიული სამოქალაქო აქტივობების პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაციაზე. მოსალოდნელია, რომ მაჩვენებლების სისტემა შეიძლება შემდეგში ადაპტირებული იყოს მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მიერ გამოყენებისთვის, სადაც მერი პერიოდულად შეისწავლის თემის დამოკიდებულებას, დაადგენს, თუ რა არის ეფექტური, რა არის ნაკლებ ეფექტური და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება.

ქულების ბარათის მეთოდი ბევრი სხვადასხვა ღონისძიების მონიტორინგის შესაძლებლობას იძლევა (იხილეთ ჩამონათვალი ქვემოთ). აღნიშნული რეგიონალური პროგრამის მიზნებისთვის, ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ 3 ასპექტზე, რომელიც გამუქებულია.

a) ხარჯებზე დაკვირვება (მაგ. მედიკამენტების ხელმისაწვდომობა)

b) მომსახურების/პროექტების ხარისხის მონიტორინგი

c) სანიმუშო წარმადობის კრიტერიუმების შექმნა, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება რესურსების განაწილებასა და ბიუჯეტთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში

d) რაიონებს/ობიექტებს შორის წარმადობის შედარება

e) პირდაპირი უკუკავშირის მექანიზმების წარმოქმნა მომწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის

f) ადგილობრივი შესაძლებლობების ზრდა

g) მოქალაქეების ხმის უფლების და თემის უფლებამოსილების გაძლიერება.

თემის ქულების ადაპტირებული ბარათი

როგორ შევქმნათ ქულების ბარათი

CSC მიდგომა ამ პროგრამისთვის იქნა ადაპტირებული. მოცემული ინსტრუმენტი შემოკლებული იქნა იმისთვის, რომ იგი პირდაპირი უკუკავშირის მექანიზმის სახით იქნას გამოყენებული თემისგან მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციული უკუგების მიღების მიზნით. ქულების ბარათის შექმნა რამდენიმე სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი, რომელთა მიზანშეწონილობა უნდა განიხილოს მერმა ან მუნიციპალურმა გუნდმა; რამდენიმე მაგალითი მოცემულია ქვემოთ.

თუმცა, საუკეთესო ვარიანტის არჩევამდე, მერმა და მისმა გუნდმა შესაძლოა განიხილონ, თუ რამდენად ხშირად სურთ აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება. ისარგებლებენ თუ არა ისინი ინსტრუმენტით ერთი წლის შემდეგ? გახდება თუ არა ეს ინსტრუმენტი თემთან გრძელვადიანი კომუნიკაციის მეთოდი? თუ აღნიშნულ კითხვებზე პასუხი დადებითია, მაშინ სასურველია გრძელვადიანი კრიტერიუმების დადგენა. ამრიგად, მერს და გუნდს შეექმნება ნათელი წარმოდგენა (ანუ, შედეგები ხანგრძლივი დროის განმავლობაში) აკმაყოფილებს თუ არა თემს არჩეული კრიტერიუმი.

ვარიანტი 1 მერი ადგენს ქულების ბარათის კრიტერიუმებს და სთავაზობს თემს კრიტერიუმების დამტკიცებას შეფასების შეხვედრის დაწყებამდე (კრიტერიუმების შესაძლო ცვლილებებით).

ვარიანტი 2 მერი მუშაობს თემის წარმომადგენლების მცირე ჯგუფთან კრიტერიუმების დასადგენად. მას შეუძლია კრიტერიუმების დადგენა რამდენიმე კითხვის დასმის მეშვეობით, რაც შეეხება თემის მიერ მთავარი საკითხების აღქმას, ანუ ჯანდაცვის მომსახურებას, სკოლებს,

ეთიკას, გამჭვირვალობას და მოქალაქეთა მონაწილეობას. მას შეუძლია მოიყვანოს მაგალითები დისკუსიის დაწყების მიზნით-რამდენად კარგად ახორციელებს მუნიციპალიტეტის პერსონალი მიმდინარე მოვლენების შესახებ შეტყობინებებს? შემდეგ მას შეუძლია სთხოვოს თემს შეათანხმოს შესაფასებელი კრიტერიუმების მთლიანი სია.

ვარიანტი 3 გულისხმობს მთლიანი თემის (ან რაც შეიძლება მეტი წარმომადგენლის) გაერთიანებას შეფასების კრიტერიუმების დასამტკიცებლად. ეს უფრო შრომატევადი და რთული პროცესია, თუმცა ეს წარმოადგენს ინსტრუმენტის ტრადიციული გამოყენების მეთოდს. ქულების ბარათი, როგორც წესი, გამოიყენება ისეთ ადგილში, სადაც მთლიან თემს შეუძლია შეკრება და ძირითადი საკითხების განხილვა.

ქულების მინიჭების პროცესი

მიუხედავად იმისა, თუ რომელი ვარიანტი იქნება არჩეული, თემი „ანიჭებს ქულებს“ კრიტერიუმების საბოლოო სიას. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არცერთ ადგილობრივად არჩეულ წარმომადგენელს არ აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა შეფასებაში და, როგორც წესი, შეფასების პროცესი უნდა ჩაატაროს არა საჯარო მოხელემ, არამედ სხვა პირმა[3], მაგალითად, ადგილობრივმა პედაგოგმა, ექთანმა ან ექიმმა. შეფასება რეგისტრირდება % სახით სხვადასხვა რეიტინგებში

3 შეიძლება რთული აღმოჩნდეს ადამიანის მოძიება, რომელიც წარმართავს ქულების მინიჭების პროცესს. ასეთ შემთხვევაში პროცესი შეიძლება განახორციელოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა თემის თანხმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს დიდი რისკი იმისა, რომ მონაცემები არ იქნება სანდო, ანუ თემმა შეიძლება გამოთქვას

(1-დან 5-მდე). ნებისმიერი შენიშვნა იწერება ბოლო მარჯვენა სვეტში. გთხოვთ იხილოთ ქულების ბარათი ქვემოთ.

იმისთვის, რომ გარანტირებული იყოს პროცესის ინკლუზიური

თემის მიერ შემუშავებული კრიტერიუმი	ქულა					შენიშვნები
	1 ძალიან ცუდი	2 ცუდი	3 დამაკ-მაყო-ფილე-ბელი	4 კარგი	5 ძალიან კარგი	
მუნიციპალური პერსონალის ხელმისაწ-ვდომობა	<შეიყ-ვანეთ ქულა %>					

ხასიათი (ჩართული იქნება წერა-კითხვის უცოდინარი საზოგადოება), ქულების მინიჭებისთვის გამოყენებული იქნება ადამიანის სახის მიმიკა თანხმობის ან უთანხმოების სხვადასხვა გამომეტყველებით (გთხოვთ იხილოთ მაგალითი ქვემოთ). კითხვები უნდა წაიკითხოთ ხმამაღლა და დაწეროთ დიდი ასოებით, რომ იყოს თვალსაჩინო. შეგიძლიათ დახატოთ/დაწეროთ ისინი კედელზე ან ქაღალდზე. თუ თქვენ აარჩევთ ამ მეთოდს მიმდინარე სამოქალაქო დისკუსიისთვის შეიძლება გაკეთდეს მუდმივი დაფა. ამრიგად, კრიტერიუმები რჩება იგივე და თემი პერიოდულად იკრიბება ქულების მინიჭების მიზნით. გამოდგება ნებისმიერი ვარიანტი.

თემის სიდიდიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა უმრავლესობამ შეიძლება მიიღოს მონაწილეობა ქულების მინიჭების პროცესში. თუ ეს შეუძლებელია,

მუნიციპალიტეტისთვის სასურველი მოსაზრებები.

სასურველია, რომ აირჩეს მოქალაქეთა შემთხვევითი ჯგუფი უფრო ფართო თემის წარმოსადგენად. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს საუკეთესო ვარიანტია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ადამიანების იგივე ჯგუფმა განახორციელოს ქულების მინიჭების კონტროლი, რათა მივიღოთ სურათი ქულების მინიჭებამდე და მას შემდეგ.

თითოეული კრიტერიუმისთვის მისანიჭებელი ქულის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს თემთან შეთანხმებით. შემდეგ ქულა რეგისტრირდება.

ინსტრუმენტის წარმატებით გამოყენებასთან დაკავშირებული გამოცდილება

ეს ინსტრუმენტი და მეთოდი ძალიან პოპულარულია საერთაშორისო განვითარების სფეროში, სადაც სოციალური ანგარიშგების პროგრამები ხორციელდება. ინსტრუმენტის გამოყენებასთან დაკავშირებული რამდენიმე მითითება მოცემულია ქვემოთ კომენტარების სახით კურსივის შრიფტით.

- მნიშვნელოვანია ადგილობრივი სოციალურ-პოლიტიკური მმართველობის კონტექსტის გააზრება. შეიქმნა ინიციატივები/პროექტები/მომსახურება და მათ იყენებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები. იმედია, უზრუნველყოფილი იქნება კრიტერიუმების შესაბამისობა.
- ტექნიკური თვალსაზრისით დიდი გამოცდილების მქონე შუამავალი რგოლი, რომელიც დაგეხმარებათ პროცესის განხორციელებაში. ინიციატივების ფარგლებში მოცემულია დიდი შესაძლებლობები. სავარაუდოდ, იქ, სადაც ვითარდება კომპეტენცია, კარგი იქნება ტრენერის მოწვევა პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

კტიტერიუმი	გამომეტყველება	ქულა
ძალიან ცუდი		1
ცუდი		2
დამაკმაყოფილებელი		3
კარგი		4
ძალიან კარგი		5

თემის ქულების ადაპტირებული ბარათი

- საზოგადოების ინფორმირება და ინფორმაციის გავრცელების კამპანია თემის ეფექტური მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით. შემოთავაზებულია ქულების ბარათის გამოყენება პროექტის გაშვების ღონისძიებაზე ან ყოველწლიურ შეხვედრებზე მაქსიმალური ჩართულობის მიღწევის მიზნით.
- მომსახურების პროვაიდერის მონაწილეობა. მაჩვენებლების ცხრილის კრიტერიუმების მასშტაბი შეიძლება იყოს ფართო. შედეგების ცხრილის შედგენით, მუნიციპალიტეტი იღებს მომსახურების ყველა მომწოდებელის კონტროლის (ჯანდაცვა, განათლება და სხვა) ვალდებულებას.
- კოორდინირებული კონტროლი. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ქულების ბარათის შედგენა პროექტის/დროის პერიოდის ბოლოს, იმის დადგენის მიზნით, ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე მკაფიო ცვლილებებს თემის კმაყოფილების/უკმაყოფილობის კუთხით. მიუხედავად ამისა, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ არსებობს ბევრი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ინიციატივების წარმატებულ განხორციელებაზე და ხშირად შეუძლებელია ცვლილების პროექტისთვის მიკუთვნება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შედეგები სახეზეა (ანუ, ჩვენ განვახორციელეთ ეს ქმედება, ეს მოხდა ჩვენი ძალისხმევის შედეგად, სხვა ფაქტორების ან მოქმედი პირების ჩართულობის გარეშე).

გამოწვევები

და ბოლოს, უნდა გვახსოვდეს შემდეგი.

- მომსახურების მომწოდებლებმა და ხელმძღვანელებმა შეიძლება იგრძნონ საფრთხე CSC ინიციატივის გამო.
- არ არის გარანტირებული, რომ მომსახურების მომწოდებლები გამოიჩენენ ყურადღებას გამოვლენილი პრობლემების მიმართ.
- მომსახურების მომწოდებლებს ადგილობრივ დონეზე ზოგჯერ არ აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ ცვლილება.
- რისკი, რომ CSC პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს იმედგაცრუება, თუ ადგილი არ ექნება გაუმჯობესებას.

ხელსაწყო 2

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები

რა არის ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ?

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ არის გამოკითხვის თვისებრივი მეთოდი, რომელიც აერთიანებს წინასწარ მომზადებულ ღია კითხვებს (კითხვებს, რომლებიც საჭიროებენ მსჯელობას) სადაც ინტერვიუერს ეძლევა შესაძლებლობა დამატებით შეისწავლოს კონკრეტული თემები ან პასუხები. ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ არ ზღუდავს რესპონდენტებს წინასწარ განსაზღვრული პასუხებით (სტრუქტურირებული კითხვარისაგან განსხვავებით).

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები გამოიყენება იმის დასადგენად, თუ როგორ იმოქმედებს საქმიანობა პროექტის ფარგლებში და როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება. ის ასევე აძლევს რესპონდენტებს შესაძლებლობას განიხილონ და წამოჭრან ისეთი საკითხები, რომელიც თქვენ არ განიხილეთ.

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები წარმოადგენენ ნაწილობრივ სტრუქტურირებულ ინტერვიუებს და ნაწილობრივ არა-სტრუქტურირებულ საუბარს. ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები განსაკუთრებით სასარგებლოა ინფორმაციის შესაგროვებლად ადამიანების იდეების, მოსაზრებების ან გამოცდილების შესახებ. ისინი ხშირად გამოიყენება საჭიროებების შესაფასებლად, პროგრამების შესაქმნელად ან შესაფასებლად. ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები არ უნდა იქნეს გამოყენებული რიცხობრივი ინფორმაციის შესაგროვებლად, როგორიცაა, მაგალითად, იმ ფერმერთა რაოდენობა, რომლებიც იყენებენ სასუქს. ამ შემთხვევაში უფრო მეტად გამოდგება რაოდენობრივი გამოკითხვა.

მოკლე აღწერილობა

ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები გვაძლევენ წარმოდგენას ინდივიდუალურ მოსაზრებაზე, მსჯელობასა და სხვადასხვა თემების კრიტიკაზე.

კარგად ჩატარების შემთხვევაში, ინტერვიუ არის მრავალი საკითხისა და თემის შესწავლის საშუალება.

ინტერვიუს სათანადოდ ჩატარების მიზნით, თქვენ დაგჭირდებათ: i) დრო, რომელსაც დაუთმობთ ინტერვიუებს (ჩაწერა, ანალიზი და მოხსენება); და, ii) კვალიფიკაცია, თქვენს მიერ შეგროვებული მონაცემების გამოყენების და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. ქვემოთ იხილეთ ეთიკური საკითხები, რომელსაც უნდა გაეცნოთ ინტერვიუების ჩატარებამდე.

მხედველობაში იქონიეთ ეთიკური საკითხები:

მიუხედავად იმისა, რომ თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ უბრალოდ ზიხართ და ესაუბრებით დაინტერესებულ მხარეს, ინტერვიუ ფაქტობრივად არის კვლევის ინსტრუმენტი და შესაბამისად თქვენ უნდა გაითვალისწინოთ ეთიკური საკითხები. ყოველთვის უნდა მოითხოვოთ ინფორმირებული თანხმობა და აუხსნათ რესპონდენტს ინტერვიუს მიზანი და ინფორმაციის გამოყენების მეთოდი. ზოგიერთ შემთხვევაში თანხმობა შეიძლება მიღებული იყოს ზეპირსიტყვიერად, ხოლო ზოგჯერ კი, შესაძლოა დაგჭირდეთ თანხმობა წერილობით ფორმაში. მაგალითად, მერმა შეიძლება გამოთქვას მოსაზრება მხოლოდ მომსახურების დონის შესახებ და მის შესაძლებლობებზე ზოგიერთ სფეროში, თუ ის დარწმუნებული იქნება მისი პასუხების კონფიდენციალობაში.

თქვენ ასევე უნდა გაითვალისწინოთ, ვინ ჩაატარებს ინტერვიუს (მათ შორის, თუ იქნება თარჯიმანი), და შეესაბამება თუ არა ის განსახილველ თემას. რიგ ქვეყნებში მამაკაცები და ქალები არ განიხილავენ გარკვეულ თემებს. ასევე არ იქნება მიზანშეწონილი, თუ ადგილობრივი პერსონალი ჩაატარებს ინტერვიუს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის ეფექტურობის შესახებ, ვინაიდან მონაწილეებმა შეიძლება იგრძნონ ზეწოლა პოზიტიური პასუხების გაცემასთან დაკავშირებით. ამიტომ, მერებმა კარგად უნდა მოიფიქრონ, თუ ვისთან სურთ ინტერვიუს ჩატარება და ვინ უფრო გამოდგება ამ მიზნისთვის.

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები

მოთხოვნები ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს ჩატარებასთან დაკავშირებით:

- წინასწარ მომზადებული და შემოწმებული კითხვარი, ადგილობრივ ენაზე
- ბლოკნოტი ან ხმის ჩამწერი.
- ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ უნდა გაგრძელდეს მაქსიმუმ ერთი საათის განმავლობაში.

როგორ უნდა ჩატარდეს ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ:

1) მოამზადეთ ინტერვიუს სახელმძღვანელო:

განმარტების შესაბამისად, ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ საჭიროებს კონკრეტულ სტრუქტურას, თუმცა ეს სტრუქტურა უნდა იყოს მოქნილი. აღნიშნული სტრუქტურა, როგორც წესი, მოცემულია ინტერვიუს სახელმძღვანელოში, რომელშიც ასევე არის ინტერვიუს ძირითადი კითხვები. ინტერვიუერს უფლება აქვს დაამატოს კითხვები ან შეცვალოს თანამიმდევრობა, თუ საჭიროა.

- თავდაპირველად ჩამოწერეთ ინტერვიუს კითხვები ადგილობრივ ენაზე: თუ თქვენ ხართ ინგლისურენოვანი, თქვენ სავარაუდოდ ჩამოწერთ ინტერვიუს კითხვებს ინგლისურად და შემდეგ ისინი ითარგმნება ადგილობრივ ენაზე (წინასწარ ან ინტერვიუს დროს). ისევე, როგორც მიმოხილვის კითხვების შემთხვევაში, აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი გაუგებრობა, რის გამოც

თქვენი ინტერვიუს შედეგები გახდება გამოუსადეგარი. თუ შესაძლებელია, თავიდანვე დაწერეთ კითხვები ადგილობრივ ენაზე და შემდეგ თარგმნეთ ისინი შესაბამის ენაზე, თუ საჭიროა.

- გამოყავით ადგილი დემოგრაფიული ინფორმაციისთვის: სასურველია, გამოყოთ ადგილი ინტერვიუს დასაწყისში ძირითადი დემოგრაფიული ინფორმაციისთვის რესპონდენტების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს სქესს, ასაკს, თანამდებობას, ადგილმდებარეობას, სახელს და გვარს (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინტერვიუ არის კონფიდენციალური). ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ შემდგომი ანალიზის და ანგარიშის შედგენის დროს.
- გამოიყენეთ ღია კითხვები: ინტერვიუს მიზანია რესპონდენტების იდეების, მოსაზრებებისა და გამოცდილების გაგება. ეს უფრო მარტივად მიიღწევა, თუ გამოიყენებთ კითხვებს, რომლებსაც არ აქვთ პასუხების ფიქსირებული არჩევანი, როგორიცაა "რას ფიქრობთ X შესახებ?" ან "რას იტყვით Y შესახებ" თუ თქვენ ჩაწერთ კითხვებს, რომლებსაც აქვთ მრავლობითი არჩევანი, დაფიქრდით საჭიროა თუ არა კვლევის ჩატარება.

კითხვები უნდა ჩამოაყალიბოთ ისე, რომ მიიღოთ რესპონდენტებისგან დეტალური პასუხები, ნაცვლად

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები

მარტივი „დიახ“ ან „არა“ პასუხისა. მაგალითად, თუ მერს უნდა მოქალაქეების მოსაზრების გაგება კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით, მან შეიძლება დასვას ისეთი კითხვები, როგორიცაა:

- როგორ შეიტყვეთ აღნიშნული პროექტის შესახებ?
- როგორ მონაწილეობთ ამ პროექტში? რა არის პროექტის ძლიერი და სუსტი მხარეები?
- როგორ შეცვალა პროექტმა თქვენი/თქვენი თემის ცხოვრება?
- როგორ იყენებთ ახალ ინფორმაციას (ან უნარებს) თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- რა გიშლით ხელს ქმედებების განხორციელებაში?
- რა სარგებელს მიიღებდნენ სხვა ადამიანები ამ პროექტისგან?
- როგორ ფიქრობთ, გაგრძელდება თუ არა ამ პროექტით მიღწეული შედეგები?
- კიდევ რა პროექტები უნდა განხორციელდეს ამ პროექტთან ერთად?

კარგი იქნება, თუ წინასწარ მოამზადებთ კითხვებს, თუმცა ინტერვიუერი მზად უნდა იყოს უფრო ვრცლად ისაუბროს წინასწარ მომზადებულ თემებზე საჭიროებისამებრ. ეს არის თვისებრივი ინტერვიუს არსი.

გამოყავით ადგილი რესპონდენტის დაკვირვებებისთვის და მოსაზრებებისთვის:

ნახევრად-სტრუქტურირებულ ინტერვიუსთან დაკავშირებით, რომელსაც ატარებენ პროგრამის თანამშრომლები, ერთერთი ყველაზე გავრცელებული პრობლემაა ის, რომ ინტერვიუერი ამატებს საკუთარ აზრს ინტერვიუს ჩანაწერებში. ზოგჯერ ძნელია ინტერვიუერის მოსაზრების გარჩევა რესპონდენტის მოსაზრებისგან. ამის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა, ფორმის ბოლოში ცალკე ადგილის გამოყოფა, სადაც ინტერვიუერი ჩაწერს მის სუბიექტურ აზრს (მაგ. „უფროსი ესწრებოდა ინტერვიუს, ამიტომ არა მგონია, რომ მან გასცა ზუსტი პასუხები", "ჩემი აზრით, მან თქვა, რომ აქტივობა უსარგებლოა იმიტომ, რომ არ იყო უზრუნველყოფილი კვება").

შეამოწმეთ სახელმძღვანელო და მოამზადეთ ინტერვიუერები:

კითხვარი უნდა შეამოწმოთ წინასწარ, რათა დარწმუნდეთ, რომ თქვენი ინტერვიუს სახელმძღვანელო გამოდგება პრაქტიკაში. წინასწარი შემოწმება შეიძლება გამოიყენოთ როგორც ინტერვიუერების ტრენინგი. ყოველთვის უკეთესია ტრენინგის ჩატარება რეალური ინტერვიუების გამოყენებით, ვიდრე ოფისში კითხვების გადახედვა.

2) შერჩევა და რესპონდენტები:

ჩაატარეთ ინტერვიუები იმდენ ადამიანთან, რამდენიც საჭიროა, რომ მოიპოვოთ სასურველი ინფორმაცია

ერთერთი ყველაზე გავრცელებული კითხვა, რომელიც ისმის ინტერვიუებთან დაკავშირებით წამოიჭრება, არის შერჩევის მოცულობა. ამ კითხვაზე არ არსებობს სწორი პასუხი, ვინაიდან მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინფორმაციის მოპოვება გსურთ.

ერთერთი მეთოდი, რომელსაც ხშირად იყენებენ, არის სხვადასხვა ბიოგრაფიებისა და თანამდებობების მქონე რესპონდენტების არჩევა (მაგ. ღარიბი, მდიდარი, მოხუცი, ახალგაზრდა, მამაკაცები, ქალები, თემის წევრები, თემის ლიდერები და სხვა). შემდეგ აგრძელებთ გამოკითხვას მანამ, ვიდრე არ შეწყდება ახალი ინფორმაციის მიღება.

3) ინტერვიუს დროს:

- დაიწყეთ მისალმებით და გააცანით თქვენი თავი. დარწმუნდით, რომ იცით, რა ინფორმაციის მიღება გსურთ. ასევე მნიშვნელოვანია, იცოდეთ, თუ ვისთან გინდათ გასაუბრება, როგორ შეაგროვებთ ინფორმაციას (ჩაწერა, შენიშვნები და სხვა) და როგორ გამოიყენებთ მას. აცნობეთ რესპონდენტებს, იქნება თუ არა ინტერვიუს ში-

ნაარსი კონფიდენციალური და მოხდება თუ არა მათი იდენტიფიცირება. ინტერვიუს ჩაწერის შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია თანხმობის მიღება. შესაძლოა დაგჭირდეთ წერილობითი თანხმობა, რაც დამოკიდებულია თქვენი ორგანიზაციის პოლიტიკაზე.

- თუ ინტერვიუ ჩატარდება თარჯიმნის მონაწილეობით, წინასწარ გაიარეთ მასთან ძირითადი კითხვები და ასევე ყველა შემდგომი კითხვა, რომლის დასმასაც აპირებთ. მათ უნდა ჰქონდეთ ინტერვიუს სახელმძღვანელოს ასლი ადგილობრივ ენაზე. ინტერვიუს ჩატარების დროს დასხედით სამკუთხედად, ისე, რომ სამივემ კარგად დაინახოთ ერთმანეთი.
- მოუსმინეთ პასუხებს და დასვით შემდგომი კითხვები: ინტერვიუს ჩატარების დროს ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი არის რესპონდენტის პასუხების ყურადღებით მოსმენა. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ პასუხები შემდგომი კითხვებისთვის, რათა მიიღოთ უფრო სასარგებლო ინფორმაცია.

მაგალითად:

ძირითადი კითხვა: *„რას ფიქრობთ .....?"*

პასუხი: *„კარგი იყო"*

შემდეგი კითხვა: *"რატომ იყო კარგი? შეგიძლიათ მოიყვანოთ რამდენიმე მაგალითი/მოყვეთ უფრო დეტალურად...?"*

ეს შეიძლება იყოს ყველაზე რთული უნარი, განსაკუთრებით, თუ ადამიანები მიჩვეული არიან სრულად სტრუქტურირებული ინტერვიუების ჩატარებას, სადაც არ არის საჭირო კრეატიულობა. კარგი იქნება ზოგიერთი სასარგებლო კითხვის ჩართვა ინტერვიუს სახელმძღვანელოში. ყველაზე გავრცელებული კითხვები უნდა იყოს გასაგები.

- პასუხები შეიძლება ჩაწეროთ შენიშვნების სახით (ან აუდიო ჩანაწერის მეშვეობით, თუ ეს შესაძლებელია). შენიშვნების ჩაწერის მეშვეობით ინტერვიუერი ჩართულია პროცესში. შენიშვნების ჩაწერა აძლევს ინტერვიუერს შესაძლებლობას ხაზი გაუსვას ძირითად პუნქტებს, რათა განაგრძოს ინტერვიუ.
- ჩაიწერეთ ძირითადი მომენტები სიტყვა სიტყვით: ძალიან ხშირად ინტერვიუერი მხოლოდ ზედაპირულად აკეთებს შენიშვნებს ინტერვიუს სახელმძღვანელოს ფორმაში. თუმცა, აქ ერთ-ერთი პრობლემური საკითხი არის ის, რომ რესპონდენტის „აზრი“ იკარგება. ამრიგად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ინტერვიუერი ხელით წერს შენიშვნებს ინტერვიუს დროს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მან ჩაწეროს ძირითადი მომენტები სიტყვა-სიტყვით იმ ენაზე, რა ენაზეც საუბრობდა რესპონდენტი.
- ინტერვიუს დასრულების გადაწყვეტილება შეიძლება დამოკიდებული იყოს რამდენიმე ფაქტორზე. მაგალითად, ინტერვიუერმა შეიძლება იგრძნოს,

რომ მას ამოეწურა კითხვები და აღარ ხდება ახალი ინფორმაციის მიღება, ან რესპონდენტი დაიღალა ან არ სცალია. სასურველია, რომ ინტერვიუერმა შეაჯამოს ძირითადი პუნქტები, რომელიც მას მიაწოდა რესპონდენტმა, ვინაიდან რესპონდენტს ეძლევა შესაძლებლობა შეაჯამოს და დააზუსტოს ძირითადი საკითხები. და ბოლოს, კარგი იქნება, თუ მადლობას გადაუხდით რესპონდენტს დახარჯული დროისთვის და მიაწვდით ინტერვიუერის საკონტაქტო ინფორმაციას.

4) ანალიზი და მონაცემთა გააზრება:

გამოიყენეთ შედეგები კონტრასტული მოთხრობების დასაწერად ან გამოავლინეთ საერთო თემები: არსებობს ორი ძირითადი შესაძლებლობა, რათა გააანალიზოთ და მოაწესრიგოთ ინტერვიუს მონაცემები-შეგიძლიათ გამოიყენოთ ის მოთხრობის დასაწერად ან საერთო თემების გამოსავლენად.

გამოიყენეთ ინტერვიუები იმ ადამიანების გამოსავ-ლენად, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა იდეები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად წარმატებული იყო პროგ-რამა. მაგალითად, მცირე საწარმოს პროგრამაში მო-ძებნეთ ადამიანი, რომლის საქმიანობა იყო ძალიან წარმატებული, მეორე, რომლის საქმიანობა იყო

საშუალოდ წარმატებული და კიდევ ერთი, რომლის ბიზნესი ჩავარდა. შემდეგ, გამოიყენეთ ინტერვიუები და მოაყოლეთ მათ საკუთარი ისტორიები.

ალტერნატიული მეთოდის შესაბამისად, უნდა გყავდეთ ჯგუფი, რომელიც გადახედავს ყველა ინტერვიუს და გამოავლენს საერთო თემებს. საერთო თემა არის ის, რასაც იმეორებენ სხვადასხვა რესპონდენტები. მაგალითად, ტრენინგის პროგრამაში ბევრ ადამიანს შეეძლო ეთქვა, რომ ტრენინგების სესიები ძალიან გრძელია. ეს იქნებოდა საერთო თემა. როგორც კი გამოავლენთ ყველა თემას, შეგიძლიათ აღწეროთ ისინი თქვენს მოხსენებაში.

როგორ გამოიყენებთ შედეგებს?

ყველა ინტერვიუს შედეგები ჯამდება, როგორც შემოთავაზებულია ზემოთ, მონაცემთა გააზრებაში. ინტერვიუერმა უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ შეიყვანს ინტერვიუების მონაცემებს საბოლოო მოხსენებაში ან პროდუქტში. შესაძლებელია, რომ ინტერვიუების შედეგად წამოჭრილმა თემებმა დაადასტუროს მონაცემები ან სხვა გამოკითხვების შედეგები. თუ თქვენ შეძლებთ იგივე თემის მოძიებას, რომელიც წარმოიშვება სხვადასხვა მონაცემებიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ შედეგი სწორია!

მას შემდეგ, რაც თქვენ შეაგროვებთ ინტერვიუს მონაცემებს სხვა შედეგებთან ერთად, თქვენ უნდა დაასრულოთ სამუშაო და გააკეთოთ რეკომენდაციები. ამის გაკეთება

შეიძლება ოფიციალურ მოხსენებაში ან უფრო პატარა შენიშვნაში. მნიშვნელოვანია საბაზისო გეგმის ან კვლევის შედეგების გავრცელება მოქალაქეებს შორის. შეეცადეთ, რომ ბენეფიციარის უკუკავშირი იყოს თქვენი საქმიანობის ცენტრალური ნაწილი.

მერის ინტერვიუს სახელმძღვანელოს ნიმუში[4]

ინსტრუქცია - ინტერვიუს მიზანია დაადგინოს საბაზისო გეგმა მუნიციპალიტეტების შესაძლებლობებში მთლიანი რეგიონალური პროგრამის მასშტაბით. გარდა ამისა, ეს არის შესაძლებლობა შევიტყოთ თქვენგან, მერისგან, უფრო მასშტაბური პრიორიტეტების შესახებ დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით, რომელიც სავარაუდოდ არ არის მოცემული განაცხადის ფორმაში. ინტერვიუ არ გადააჭარბებს ერთ საათს.

1. რამდენი ხანია, რაც იკავებთ მერის თანამდებობას?
2. რა პრიორიტეტები გამოვლინდა თქვენი მუნიციპალიტეტისთვის?
3. რომელია ძირითადი პრობლემა თქვენს მუნიციპალიტეტში? და ვისთვის (მაგ., ვინ არიან ძირითადი დაინტერესებული მხარეები)?
4. რა გადაწყვეტილებები შესთავაზეთ?
5. როგორ გამოდგება ამისთვის ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის პროგრამა? ისაუბრეთ ეთიკის კოდის, გამჭვირვალე ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ.

4 ეს სანიმუშო სახელმძღვანელო მოცემულია ტრენერების დასახმარებლად მერებისთვის საბაზისო გეგმის დასადგენად.

6. რა სისტემები გაქვთ ამჟამად ფინანსური მართვისთვის? თუ არ გაქვთ ჩამოყალიბებული სისტემა, რა პროცესებს და პროცედურებს იცავთ? ვინ არის პასუხისმგებელი ამაზე?
7. რა სისტემები გამოიყენება ამჟამად პროექტების მართვის მიზნით? თუ ეს ისევ არაოფიციალური სისტემაა, რა პროცესებს და პროცედურებს იცავთ? ვინ არის პასუხისმგებელი ამაზე?
8. რა შედეგების მიღწევა გსურთ პროექტის ბოლოს?
9. შეგიძლიათ კიდევ რაიმეს დამატება?

ხელსაწყო 3

ცოდნის, დამოკიდებულებისა და ქცევის მოკლე კვლევა

რა არის ცოდნის, დამოკიდებულებისა და ქცევის (KAB) კვლევა?

KAB არის ადამიანების ცოდნის, დამოკიდებულებისა და ქცევის სტანდარტიზებული კვლევა, რომელიც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად (ამ შემთხვევაში) საკითხებს. მასში შეიძლება განხილული იყოს თემების ან პერსპექტივების კონკრეტული ჩამონათალი, მაგ., გამჭვირვალობა ადგილობრივ თვითმმართველობაში, მოქალაქეთა ჩართულობა და ეთიკა დემოკრატიული მმართველობის გააზრებისთვის. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ბენეფიციარების შეხედულებები და ჩვეული პრაქტიკა, რათა პროექტის ფარგლებში პრობლემები გადაწყდეს მისაღები საშუალებით.

KAB კვლევის ძირითადი მიზანია:

- სამიზნე მოსახლეობის ტიპიური ქცევის დადგენა და რა იწვევს ამგვარ ქცევას ზოგიერთ მაჩვენებელთან მიმართებაში.

კვლევის ძირითადი შედეგებია:

- მოიპოვეთ ინფორმაცია და ჩვეული პრაქტიკა ჩარევის არეალის მონაწილეებს შორის სპეციფიურ თემებთან დაკავშირებით (ქვემოთ მოცემულ მაგალითებში თემები შემდეგია: გამჭვირვალობა ადგილობრივ თვითმმართველობაში, ეთიკა და მოქალაქეთა მონაწილეობა).
- ჩამოაყალიბეთ საწყისი გეგმა, რომელთანაც მომავალში მოხდება სიტუაციის შედარება დროთა განმ-

მოკლე აღწერილობა

როგორც კი მუნიციპალიტეტი შეიტყობს თემში არსებული ცოდნისა და დამოკიდებულებების შესახებ, მას შეუძლია დაიწყოს მუშაობა მოქალაქეებთან სასურველი ცვლილებების მისაღწევად.

ის აყალიბებს თემის აზრს, გამჭვირვალობას და ზრდის ანგარიშვალდებულებას.

მავლობაში ქცევის ცვლილების და ასევე პროგრამის გრძელვადიანი მოქმედების შესაფასებლად.

როგორ არის ის შედგენილი?

პირმა, რომელიც ადგენს მოკლე კვლევას, კარგად უნდა იცოდეს გასაანალიზებელი თემები. ამრიგად, მას უნდა შეეძლოს ისეთი კითხვების შედგენა, რომლებიც ზუსტად ასახავენ სამართლებრივ ნორმებს, ზოგადად მიღებულ მცნებებს და უნდა ფლობდეს ქცევის ამჟამინდელ დონეებს ზოგიერთ თემასთან დაკავშირებით. ასეთ ადამიანს შეუძლია განავითაროს თემების საწყისი ჩამონათვალი თითოეული სათაურის ქვეშ. ეს ჩამონათვალი შემდგომში უნდა განიხილოს მუნიციპალიტეტმა. პირველ რიგში შესამოწმებელია, არის თუ არა ჩამონათვალში ყველა საჭირო თემა.

როგორც კი ჩამონათვალში მოცემული იქნება ყველა თემა, მკვლევარმა შემდეგ უნდა შეიმუშავოს კითხვები, რომელზეც რესპონდენტი უპასუხებს „სწორია/არასწორია“ ცოდნასთან დაკავშირებით ან გამოიყენოს ლიქერთის სკალა (განცხადების მისაღებობის დონე გაიზომება ქულებით 1-დან 5-მდე) მიდგომებისათვის და ქცევისთვის. შემდეგ ჩატარდება მეორე მიმოხილვა მუნიციპალიტეტთან. მიმოხილვის დროს კვლევის პილოტირებას ახორციელებს 2 ან 3 ადამიანი, რათა უზრუნველყოფილი იყოს: განცხადებების გაგების თანამიმდევრობა და „სწორია/არასწორია“ განცხადებების სიზუსტის შემოწმება. დარწმუნდით, რომ,

- კითხვები არ არის მიკერძოებული და არ შეიცავენ „მიმანიშნებელ კითხვებს“;
- სადაც შესაძლებელია, კითხვები უნდა პასუხობდნენ მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტს;

- კითხვები უნდა იყოს გააზრებული; და
- კითხვებში არ უნდა იყოს თვითრეკლამის რაიმე აშკარა მცდელობა.

შემდეგ შემუშავდება ორგვერდიანი სატელეფონო კითხვარის ჩანაწერი „სწორია/არასწორია“ კითხვებით, რომელთა მეშვეობით მოხდება რესპონდენტების ცოდნის შემოწმება თემაზე, მაგ., დემოკრატიული მმართველობა, ლიქერთის სკალის ტიპის კითხვები „არ ვეთანხმები“ (=1) „არ ვარ დარწმუნებული“ (=3) „ვეთანხმები“ (=5), რომლებიც შეეხება რესპონდენტების დამოკიდებულებას და კითხვებს „სწორია/არასწორია“ და დაკავშირებულია რესპონდენტების ქცევასთან. ამ კითხვების შემდეგ, მოდის სტანდარტული დემოგრაფიული კითხვები გენდერთან, ასაკთან დაკავშირებით და სხვა.

შემდეგ კვლევა გადადის ოჯახის წევრების შემთხვევითობის[5] პრინციპით; მათ ურეკავენ კითხვებზე პასუხების მიღების მიზნით.

როგორ ხორციელდება კვლევა? შერჩევის მოცულობა?

KAB შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე ხერხით, რაც დამოკიდებულია შერჩევის ზომასა და კვლევის განსახორციელებლად პერსონალის ხელმისაწვდომობაზე. მსხვილი კვლევის განხორციელება სცდება მუნიციპალური სამუშაოს ფარგლებს. ამიტომ მერმა და მისმა გუნდმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება დროსთან დაკავშირებით, რომელიც შეიძ-

5 შემთხვევითი ნიშნავს, რომ

- თითოეული ოჯახის შერჩევა ხდება შემთხვევითობის პრინციპით
- ოჯახებს აქვთ არჩევის ერთნაირი შანსი
- ჩვენ არ „ვარჩევთ“ ოჯახებს (მაგ. იმიტომ რომ მათთან დაკავშირება უფრო მარტივია)

ლება დაიხარჯოს კვლევაზე, რამდენი ადამიანი იმუშავებს მასზე საჭიროებიდან/სარგებლიდან გამომდინარე, რომელიც შეიძლება მიღებული იყოს კვლევის ინფორმაციიდან.

თუ შერჩევის მოცულობა მცირეა და მუნიციპალიტეტს შეუძლია გამოყოს გუნდი ოჯახებში დარეკვის და პასუხების შეგროვების მიზნით, ეს იქნებოდა იდეალური ვარიანტი. მაგრამ, თუ შერჩევის მოცულობა დიდია, მუნიციპალიტეტმა შეიძლება გადაწყვიტოს ონლაინ კვლევის ჩატარება. კვლევის ინსტრუმენტები, როგორიცაა Fluid Surveys მარტივია გამოსაყენებლად. ეს, რა თქმა უნდა, გულისხმობს ინტერნეტის ხელმისაწვდომობას და ელექტრონული ფოსტის მისამართს თითოეული მიმღებისთვის.

სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგი ვადები:

- კვლევის დიზაინის მომზადება: 2 დღე
- ონლაინ კვლევისთვის მომზადება: 2 დღე
- ჩაატარეთ ტრენინგი ონლაინ კვლევის მართვის ან სატელეფონო კვლევის ჩატარების მიზნით: 1 დღე
- შეათანხმეთ ონლაინ კვლევის ან სატელეფონო კვლევის რესპონდენტთა სია: 2 დღე
- ჩაატარეთ კვლევა (მოიცავს შემდგომ კონტროლს, კარგად შერჩევას) 1-დან 2 კვირამდე
- მონაცემთა გაცხრილვა (დარწმუნდით, რომ ყველა პასუხი ნამდვილია): 1 დღე
- მონაცემების შეყვანა ცხრილებში (მხოლოდ სატელეფონო კვლევის დროს): 3+ დღე (დამოკიდებულია შერჩევის ზომაზე)

- მონაცემთა ანალიზი: 1 კვირა
- შედეგების წერილობით ფორმაში ასახვა: 1 კვირა
- შედეგების გავრცელება: საჭიროებისამებრ.

თუ კვლევის ადმინისტრირება პრობლემურია, მუნიციპალიტეტმა შეიძლება გამოაქვეყნოს კვლევა მის ახლად შექმნილ ვებ გვერდზე. მოკლე პერიოდებისთვის გუნდმა შეიძლება ჩაატაროს კვლევა ვებ გვერდის მეშვეობით, გაუკეთოს მას რეკლამა და მიმართოს თხოვნით ოჯახებს, რათა მათ უპასუხონ კითხვებს. კვლევა დაიხურება და შემდგომი კვლევა ჩატარდება მას შემდეგ, როდესაც მუნიციპალიტეტი იხილავს ცვლილებებს.

შერჩევის მართვა: ვინ არის რესპონდენტი და როდის ხორციელდება კვლევა?

ოჯახი, როგორც ერთეული, შეიძლება იყოს ერთი ადამიანი, დაქორწინებული წყვილი, ახალგაზრდა ოჯახი, მოხუცი, რომელიც მარტო ცხოვრობს ან ნებისმიერი სხვა კომბინაცია. კვლევაში მოცემული იქნება ასაკი და სქესი. თუმცა, ადამიანმა, რომელიც მართავს კვლევის მთლიან პროცესს, უნდა მიიღოს პასუხები ადგილობრივი მოსახლეობის ყველა სეგმენტისაგან, ასევე მამაკაცებისგან და ქალებისგან. კვლევის მენეჯერი კარგად უნდა დაფიქრდეს ოჯახში დარეკვის დროის შერჩევის შესახებ, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული, თუ ვინ უპასუხებს ზარს. სხვა დროს, შეიძლება იყოს ოჯახის წევრებისგან არჩევის შესაძლებლობა და ამ შემთხვევაში კვლევა შეიძლება ორიენტირებული იყოს ქალებზე, თუ მანამდე იყო მამაკაცების აქტივობის ტენდენცია.

გთხოვთ კარგად დაფიქრდეთ კვლევის დაწყების პერიოდის შესახებ. თუ კვლევა ჩატარდება რაიმე მნიშვნელოვანი

მოვლენის შემდეგ, პასუხები შეიძლება იყოს მიკერძოებული. მნიშვნელოვანია, რომ კვლევა ჩატარდეს ისეთ დროს, როდესაც მუნიციპალიტეტს არა აქვს რაიმე დაგეგმილი, რათა პასუხებში იყოს მინიმალური მიკერძოება და მათ ასახონ რეალური KAB.

შედეგების შენახვა და ანალიზი

კვლევის შედეგად შეგროვილი ყველა მონაცემები უნდა შეინახოთ ერთ საერთო ცხრილში ან ვორდის დოკუმენტში. თუ შესაძლებელია და გაქვთ სანდო ინტერნეტ კავშირი, კვლევა შეიძლება დაეფუძნოს Fluid Survey და ინტერვიუერის მიერ შეყვანილ შედეგებს, კვლევის შემდეგ. პასუხები უნდა იყოს კონფიდენციალური (თითოეულ რესპონდენტს უნდა მიენიჭოს ნომერი და არა სახელი). ამ კვლევის შედეგები გადაეცემა მერს და კვლევის გუნდს შემდგომი ანალიზის ჩასატარებლად.

რას გავარკვევთ?

ამ კვლევის შედეგად მიღებული შედეგების, და ცოდნის, დამოკიდებულების და ქცევის დონის საზომი ტესტების გამოყენებით, შესაძლებელია არაერთი დასკვნის გაკეთება. მაგალითად, შესაძლებელია იმის გარკვევა, ახასიათებთ თუ არა სხვადასხვა ასაკობრივი და სქესის ჯგუფების წარმომადგენლებს თემის მიმართ დადებითი დამოკიდებულება და არის თუ არა სქესი უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე ასაკი. ასევე შესაძლებელი იქნება შევაჯამოთ ან დავთვალოთ, თუ რომელი სქესის და ასაკის და რამდენი ადამიანი იზიარებს იმავე დამოკიდებულებას. შესაძლებელი იქნება იმ თემის პასუხების პროპორციის შესწავლა, რომელსაც ახასიათებს კონკრეტული ქცევა.

სხვა განსხვავებები, რომლებიც წარმოადგენენ კვლევის ინტერესს, შეიძლება იყოს შემდეგი: (1) არის თუ არა გენდერი

უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე ასაკი თქვენს შემთხვევაში? მაგალითად, ემხრობიან თუ არა გოგოები კონკრეტულ დამოკიდებულებას, მაშინ, როდესაც დადებითი დამოკიდებულება იყო უფრო მნიშვნელოვანი ზრდასრულებს შორის; და (2) არის თუ არა დამოკიდებულება ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც ცოდნა ერთ ასაკობრივ ჯგუფში მეორესთან შედარებით? მაგალითად, შეიძლება თუ არა, რომ დამოკიდებულება მოქალაქეთა მონაწილეობის მიმართ იყოს ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც ცოდნაა ახალგაზრდების მაგალითში, მაშინ, როდესაც ზრდასრულების შემთხვევაში, დამოკიდებულება იყო უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ცოდნა/განათლება.

ნებისმიერი სხვა შედეგების გამოყენებამდე, გთხოვთ დარწმუნდეთ, რომ თქვენ მოათავსებთ შედეგებს თქვენი მუნიციპალიტეტის რეფორმის პროგრამის კონტექსტში. ეს ემსახურება მოქალაქეთა მონაწილეობას და გამჭვირვალობას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მომსახურების მომწოდებლებმა და ადგილობრივად არჩეულმა წარმომადგენლებმა შეძლონ წამოჭრილ საკითხებზე პასუხის გაცემა.

რისთვის გამოიყენება შედეგები?

- შეგროვდება ინფორმაცია, რომელიც ასახავს თემის მიერ შეძენილ ცოდნას და მის ცვლილებას დროთა განმავლობაში
- ინიციატივებისა და რეფორმების მორგება სპეციფიკური ხარვეზების აღმოსაფხვრელად.
- გრძელვადიანი პროექტის დასაწყებად საწყისი გეგმის მონაცემების შეგროვება.

ცოდნის, დამოკიდებულებისა და ქცევის მაგალითების კვლევის სახელმძღვანელო

ცოდნის, დამოკიდებულებისა და ქცევის მოკლე კვლევა

ინსტრუქცია

მადლობა, რომ იღებთ მონაწილეობას წინამდებარე ცოდნის, დამოკიდებულებისა და ქცევის კვლევაში.

ამ კვლევის მიზანია საბაზისო გეგმის შექმნა ისეთ თემებზე, როგორიცაა ეთიკა, მოქალაქეთა მონაწილეობა და გამჭვირვალობა თქვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობაში. ჩვენ ვუკავშირდებით ოჯახებს <ჩასვით ნომერი>, რათა შევაგროვოთ პირველადი მონაცემები, იგივე მტკიცებულება, რომლის საფუძველზე განხორციელდება პროექტის/მუნიციპალიტეტის რეფორმის პროგრამის მონიტორინგი. თქვენი მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია.

ყველა პასუხი, რომელსაც თქვენ მოგვაწვდით, იქნება ანონიმური (ჩვენ მოგანიჭებთ ნომერს და არ მოვიხსენიებთ თქვენს სახელსა და გვარს) და შეინახება ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში, რომელიც დაცულია პაროლით და ხელმისაწვდომია მხოლოდ კვლევის მენეჯერისთვის. მოკლე კვლევაზე დაიხარჯება მხოლოდ 10 წუთი. მე ახლა დაგისვამთ სამ კითხვას, რომელსაც თქვენ უნდა უპასუხოთ „სწორია“ ან „არასწორია“.

კითხვები

ცოდნის შესახებ

1. მოქალაქეთა მონაწილეობა სავალდებულო მოთხოვნაა კანონში (სწორია/არასწორია)
2. მერი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ფინანსური აღრიცხვა შეესაბამებოდეს აღიარებულ სტანდარტებს (სწორია/არასწორია)
3. მე ვიცი, თუ რა გავლენას მოახდენს მერის ბოლო გადაწყვეტილება ჩემზე და ჩემს ოჯახზე. (სწორია/ არასწორია)

ახლა დაგისვამთ რამდენიმე კითხვას დამოკიდებულებასთან დაკავშრებით. პასუხები კითხვებზე დაფუძნებულია იმაზე, თუ რამდენად ეთანხმებით განცხადებას. გთხოვთ გააკეთოთ არჩევანი 1(აბსოლუტურად არ ვეთანხმები)- 5(აბსოლუტურად ვეთანხმები) შორის.

დამოკიდებულების შესახებ

1. ჩემს მუნიციპალიტეტში აქტიური მონაწილეობა ხელს უწყობს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას „აბსოლუტურად არ ვეთანხმები“ (=1) „არ ვარ დარწმუნებული“ (=3) „აბსოლუტურად ვეთანხმები“ (=5)
2. მნიშვნელოვანია ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება „აბსოლუტურად არ ვეთანხმები (=1) „არ ვარ დარწმუნებული“ (=3) „აბსოლუტურად ვეთანხმები“ (=5)
3. აზრი არ აქვს ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართვას ვინაიდან მე ვენდობი ჩემს ადგილობრივ ხელისუფლებას „აბსოლუტურად არ ვეთანხმები (=1) „არ ვარ დარწმუნებული“ (=3) „აბსოლუტურად ვეთანხმები“ (=5)
4. მე ვენდობი ადგილობრივად არჩეულ წარმომადგენლებს „აბსოლუტურად არ ვეთანხმები (=1) „არ ვარ

დარწმუნებული“ (=3) „აბსოლუტურად ვეთანხმები“ (=5)

5. ვთვლი, რომ ნორმალურია, თუ ადგილობრივად არჩეული წარმომადგენლები მიიღებენ საჩუქრებს მოქალაქეებისგან კარგად შესრულებული სამუშაოსთვის „აბსოლუტურად არ ვეთანხმები (=1) „არ ვარ დარწმუნებული“ (=3) „აბსოლუტურად ვეთანხმები“ (=5)
6. ჩვენი ადგილობრივი თვითმმართველობა არის ეფექტური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული -
7. „აბსოლუტურად არ ვეთანხმები (=1) „არ ვარ დარწმუ-ნებული“ (=3) „აბსოლუტურად ვეთანხმები“ (=5)
8. ჩვენი მერი კარგად ასრულებს სამუშაოს - „აბსოლუტუ-რად არ ვეთანხმები (=1) „არ ვარ დარწმუნებული“ (=3) „აბსოლუტურად ვეთანხმები“ (=5)

ქცევის შესახებ

1. მე ვიყენებ ჩემს უფლებას ვიყო ადგილობრივი გადაწ-ყვეტილებების მიღების პროცესის მონაწილე (სწორია/ არასწორია)
2. მე მინდა უფრო მეტი წავიკითხო ჩემი მუნიციპალიტე-ტის შესახებ ინტერნეტში (სწორია/არასწორია)
3. ქალაქში ჩემი საქმიანობის დროს, ვცდილობ გავიგო, თუ რას აკეთებს მერი (სწორია/არასწორია)

და ბოლოს, მე დაგისვამთ კითხვებს, რათა მეტი გავიგოთ შერჩევის შედეგად ჩატარებული ინტერვიუებიდან

მამაკაცი/ქალი ასაკობრივი ჯგუფი: 15 – 34 35 – 54 55 და მეტი

ხელსაწყო 4
ფოკუს ჯგუფები

რა არის ფოკუს ჯგუფი?

ფოკუს ჯგუფის დროს მონაწილეთა ჯგუფს (დაახლოებით 4-დან 12-მდე) უსვამენ კითხვებს მათი გამოცდილებისა და შეხედულებების შესახებ კონკრეტულ თემებზე. ფოკუს ჯგუფების მეშვეობით შესაძლებელია მნიშვნელოვანი თვისებრივი ინფორმაციის მიღება პროექტის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, მონაწილეთა (ან სხვა დაინტერესებულ პირთა) შეხედულებების საფუძველზე. პროცესის მეშვეობით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ცოდნის მიღება პროგრამის შემდგომი ფაზების შეფასების და გაუმჯობესების ან შემდგომი ინიციატივებისთვის ახალი პროგრამის ან ხედვის შექმნის მიზნით.

ფოკუს ჯგუფებს ხელმძღვანელობს ფასილიტატორი, რა დროსაც ხორციელდება ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ მონაწილეებს შორის დისკუსიის წარმართვის მიზნით. ფასილიტატორს ან სხვა მონაწილეებს შეუძლიათ აიტაცონ ჯგუფის მიერ გამომუშავებული იდეები. ფასილიტატორს შეუძლია გააღვივოს მოტივაცია, გრძნობები და ღირებულებები ვერბალიზაციის მიღმა კვლევის და განმეორებითი პასუხების შედეგად. მონაწილეები ახორციელებენ ერთმანეთის სტიმულირებას ისეთი იდეების გაცვლისას, რომელიც შეიძლება არ წარმოიშვას ინდივიდუალური ინტერვიუს ან კვლევის დროს.

ფოკუს ჯგუფები არ უნდა აგვერიოს თემის შეხვედრებში, ჯგუფურ დისკუსიებში ლიდერებთან ან სახელმწიფო მოხელეებთან, ან არაოფიციალურ ბრეინსტორმინგთან, ვინაიდან ისინი უნდა შეიქმნას, ჩამოყალიბდეს და წარიმართოს. ფოკუს ჯგუფებიდან მიღებული პასუხები არ შეიძლება შეჯამდეს და გამოყენებული იყოს, როგორც რაოდენობრივი მონაცემები.

ჯგუფი შეიძლება შედგენილი იყოს ბენეფიციარების ან პროექტის წარმომადგენლებისგან, ან ბენეფიციარების ქვეჯგუფისგან,

მოკლე აღწერილობა

ფოკუს ჯგუფების მეშვეობით შეგვიძლია შევიტყოთ, თუ რას ფიქრობს თემი კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. ის იძლევა მოტივაციის აღქმას, რომელიც დგას კონკრეტული ქცევის უკან.

ეს არის კარგი მეთოდი სწავლის განსახორციელებლად და შინაარსიანი საუბრის წარმართვის კარგი საშუალება.

ფოკუს ჯგუფები

თუ თქვენ გსურთ გამოავლინოთ თუ როგორი იყო პროექტის გავლენა ზოგიერთ ჯგუფზე (მაგალითად, სკოლაში ფოკუს ჯგუფები შეიძლება ჩატარდეს პედაგოგებთან, მშობლებთან ან მათ კომბინაციასთან).

ფოკუს ჯგუფების ძლიერი მხარე არის მონაწილეებისთვის საშუალების მიცემა დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ ერთმანეთს და შემდგომ მოხდეს იმის გაანალიზება, თუ რას ფიქრობს ჯგუფი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, აზრთა და იდეების სიმრავლეზე და შეუსაბამობაზე, რომელსაც ადგილი აქვს კონკრეტულ თემში შეხედულებებთან, გამოცდილებასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით.

ფოკუს ჯგუფების მიდგომის გამოყენების უპირატესობები:

- გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას იმ გავლენის შესასწავლად, რომელსაც მოახდენს პროექტი/ კონკრეტული საკითხი თემზე.
- გვაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას იმ მონაწილეთა და დაინტერესებულ მხარეთა კონტექსტთან დაკავშირებით, რომლებიც იყვნენ მომსახურების მიმღებები ან მონაწილეობდნენ პროექტში.
- ფოკუს ჯგუფები შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ეფექტური ინსტრუმენტი იმ ადამიანების მოსაზრებების მისაღებად, რომლებსაც არ შეუძლიათ დიდ შეხვედრებში მონაწილეობის მიღება (მაგ., ქალები, ბავშვები და სხვა). ფოკუს ჯგუფების შეხვედრების შედეგები შეიძლება წარედგინოს ფართო აუდიტორიას, სადაც აზრის გამოთქმის შესაძლებლობა მიეცემა მათ, ვისაც არ შეეძლო აზრის გამოთქმა დიდ შეხვედრებზე.

ფოკუს ჯგუფების ჩატარებასთან დაკავშირებული მოთხოვნები:

- ფასილიტატორმა უნდა წარმართოს დისკუსია, წაუძღვეს მონაწილეებს და უზრუნველყოს ყველა მონაწილის ჩართულობა. წინასწარ უნდა მოამზადოთ იმ თემების სახელმძღვანელო, რომლის დაფარვაც გსურთ ფოკუს ჯგუფებში.
- დაახლოებით 90 წუთი უნდა იყოს საკმარისი ფოკუს ჯგუფების უმრავლესობისთვის. აუცილებელია დისკუსიის ჩაწერა.

როგორ უნდა ჩატარდეს ფოკუს ჯგუფი:

1) კითხვების შემუშავება თქვენი ფოკუს ჯგუფისთვის:

- იფიქრეთ კითხვებზე თქვენი სადისკუსიო სახელმძღვანელოსთვის. ფოკუს ჯგუფების ინტერვიუებისთვის მომზადებისას მნიშვნელოვანი ნაბიჯია ისეთი კითხვების შემუშავება, რომლებიც აიძულებენ მონაწილეებს გასცენ პასუხები და მოიპოვონ ჯგუფიდან საჭირო ინფორმაცია.
- კარგი კითხვა ჟღერს ბუნებრივად და უბიძგებს რესპონდენტს საუბრისკენ. ის, როგორც წესი, მოკლეა და შეზღუდული (ისმევა მხოლოდ ერთი კითხვა ერთ ჯერზე). რის გაგება გსურთ? კითხვები ყველასთვის იგივეა? როგორ შეიძლება, რომ კითხვები მოერგოს სხვადასხვა ჯგუფებს?

მაგალითად, არის კითხვების ხუთი ზოგადი სახეობა, რომელიც გამოიყენება ფოკუს ჯგუფების ინტერვიუებში:

- შესავალი კითხვები გამოიყენება იმისთვის, რომ რესპონდენტებმა დაიწყონ საუბარი და თავი იგრძნონ კომფორტულად. ისინი უნდა იყოს მარტივი, მაგრამ ამავე დროს არ უნდა ამახვილებდნენ ყურადღებას სხვაობაზე ჯგუფის წევრებს შორის. *მაგალითი: წარმოგვიდგინეთ თავი და გვითხარით რამდენი ხანია ცხოვრობთ ამ მუნიციპალიტეტში*

- შესავალი კითხვები გამოიყენება იმისთვის, რომ ჯგუფმა დაიწყოს ფიქრი მიმდინარე თემებზე. მათი საშუალებით ხდება საუბრის მიმართვა. *მაგალითად: როდის შეიტყეთ ადგილობრივად არჩეული წარმომადგენლების როლის შესახებ? როდისმე ყოფილხართ ჩართული მუნიციპალიტეტის საქმიანობაში?*

- გარდამავალი კითხვების მეშვეობით თქვენ გაქვთ კავშირი შესავალ კითხვებსა და ძირითად კითხვებს შორის. ისინი ითხოვენ მონაწილეებისგან უფრო სიღრმისეულად დაფარვას, ვიდრე შესავალი კითხვები. *მაგალითად: გაიხსენეთ, პირველად როდის შეიტყეთ მერის როლის შესახებ, რა იყო თქვენი პირველი მოლოდინი მასთან მიმართებაში? რატომ?*

- ძირითადი კითხვები შეეხება პრობლემურ თემებს. დროის უმეტესი ნაწილი ეძღვნება აღნიშნული კითხვების განხილვას. გთხოვთ იხილოთ ქვემოთ წინამდებარე ნაწილში უფრო კონკრეტული მაგალითები. შეიძლება დასვათ ასეთი კითხვა:

როგორია თქვენი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის როლი? ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე ცვლილებას მომსახურებაში (კარგი თუ ცუდი), რომლის განხილვაც გსურთ აქ?

- დასკვნითი კითხვებით სესია მთავრდება. მაგალითად: დარჩა თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი თემა განსახილველი?

სპეციალურ თანამიმდევრობას, რომლის მიხედვით ხორციელდება კითხვების დასმა, ეწოდება კითხვების დასმის მეთოდიკა. კარგ მეთოდს აქვს მარტივი დასაწყისი, ის მიმდინარეობს ლოგიკურად და ბუნებრივად ერთი კითხვიდან მეორეზე და გადადის ზოგადიდან კონკრეტულამდე. მნიშვნელოვანია დროის შეფასება, რომელიც საჭიროა თითოეულ კითხვაზე დისკუსიის ამოწურვისთვის. ეს დროის მონაკვეთები შეიძლება გამოყენებული იყოს ფოკუს ჯგუფების დისკუსიის მართვის მიზნით.

2) შეგიძლიათ შექმნათ თქვენი ფოკუს ჯგუფი: ვინ არიან ძირითადი დაინტერესებული მხარეები? ვისი აზრის მოსმენა გჭირდებათ? რამდენი ჯგუფი დაგჭირდებათ და როგორ ჯობია ამ ჯგუფების დაყოფა? მაგალითად, ხომ არ ჯობია ჩაატაროთ ფოკუს ჯგუფები თემის სხვადასხვა სეგმენტებთან (მაგ., მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან) ცალ-ცალკე?

გაითვალისწინეთ ჯგუფის/თემის კონტექსტი, პროტოკოლები და დინამიკა და ასევე ყველას მიეცით მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. ასევე გაითვალისწინეთ, რომ თემის ზოგიერთმა სეგმენტმა (ქალებმა, მაგალითად) შეიძლება ვერ შეძლონ ან არ ისურვონ საუბარი. მათთან შეგიძლიათ ჩაატაროთ ცალკეული შეხვედრები და მათი მოსაზრებები შემდეგ გაითვალისწინოთ უფრო დიდ შეხვედრებში. მიიღებენ თუ არა ქალები მონაწილეობას ფოკუს ჯგუფებში იმ შემთხვევაში, თუ იქ იქნებიან მამაკაცები? საჭიროა თუ არა, რომ გყავდეთ ერთსქესიანი ჯგუფები?

3) შეარჩიეთ კარგი დრო და ადგილი ფოკუს ჯგუფისთვის. გახსოვდეთ, რომ ადამიანებს აქვთ დროის სხვადასხვა შეზღუდვები, მაგ., ქალები ვერ შეძლებენ დასწრებას მამაკაცებთან ერთად ან შეიძლება იყოს წელიწადის ისეთი დრო, როდესაც თემის დიდი ნაწილი ძალიან დაკავებულია.

4) ჯგუფი უნდა იჯდეს წრის ან ნალის ფორმით, ისე, რომ ყველა კარგად ხედავდეს ერთმანეთს და ჰქონდეს კომუნიკაცია ფოკუს ჯგუფის მიმდინარეობისას.

5) დაიწყეთ ფოკუს ჯგუფი მისალმებით და განმარტეთ ფოკუს ჯგუფის მიზანი და ასევე ის თემები, რომელთა განხილვა გსურთ. შეგიძლიათ გამოიყენოთ „ყინულის გალღობის“ სავარჯიშო, რათა აალაპარაკოთ ყველა. ჩამოაყალიბეთ რამდენიმე „ძირითადი წესი“ ფოკუს ჯგუფის დისკუსიისთვის, როგორიცაა ერთმანეთის მოსმენა, ერთმანეთის აზრის პატივისცემა.

6) წარმატებული ფოკუს ჯგუფის მნიშვნელოვანი ელემენტია ეფექტური ფასილიტაცია. როგორც ფასილიტატორმა, თქვენ:

- უნდა უზრუნველყოთ ყველა წევრის მონაწილეობა, ძირითადი კითხვების ჩამოყალიბება, ნეიტრალური დამოკიდებულების და გამომეტყველების დაცვა და სესიის შეჯამება, რათა სამართლიანად და სწორად ასახოთ მოსაზრებები.
- ეფექტური ფასილიტაცია საჭიროებს მომზადებას, დისციპლინას და ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობის უნარს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ფასილიტატორს უნდა სჯეროდეს, რომ ყველა მონაწილეს აქვს რაღაცა სათქმელი, მიუხედავად მათი განათლების დონის და გამოცდილებისა. ფასილიტატორმა ყურადღებით უნდა მოუსმინონ და შეეცადონ გაიგონ თითოეული მონაწილის შეხედულება. პატივისცემის ან ინტერესის ნაკლებობა სწრაფად გადაეცემა მონაწილეებს და იწვევს აქტიურობის შემცირებას.

- აუცილებლად უყურეთ მონაწილეებს, როდესაც ისინი საუბრობენ და გამოავლინეთ აქტიური მოსმენის ტექნიკა (თავის დაქნევა, მხედველობითი კონტაქტი), გამოხატეთ თანაგრძნობა და პოზიტიური დამოკიდებულება მონაწილეების მიმართ.
- თავი შეიკავეთ პირადი მოსაზრებების გამოხატვისგან; თქვენი მოვალეობაა შეაგროვოთ მონაწილეების შეხედულებები და გამოცდილება და თქვენი მოსაზრება ჩარევასთან დაკავშირებით არ უნდა იყოს განხილვის ნაწილი და არ უნდა იმოქმედოს მასზე.
- გაითვალისწინეთ, რომ ფოკუს ჯგუფებისთვის ძალიან მარტივია თემიდან გადახრა და თქვენ, როგორც ფასილიტატორი, ვალდებული ხართ უხელმძღვანელოთ განხილვას ისე, რომ მიიღოთ საჭირო ინფორმაცია და მტკიცებულება.
- თემმა ან ჯგუფმა შეიძლება მიიჩნიოს ფასილიტატორი „ექსპერტად“ და დაავალდებულოს მთლიანი შეხვედრის ხელმძღვანელობა. შეიმუშავეთ მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მონაწილეობას.
- არ დასვათ მისახვედრი კითხვები და არ მიიჩნიოთ, რომ თქვენ წინასწარ იცით, თუ რა შედეგს გამოიღებს ფოკუს ჯგუფის განხილვა. დაეხმარეთ მათ დისკუსიის წარმართვაში, მაგრამ არ უკარნახოთ მონაწილეებს არაფერი.
- პაუზა და გამოკვლევა არის ფოკუს ჯგუფების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ტექნიკა.

პაუზა არის მხოლოდ სიჩუმის პერიოდი კითხვის დასმის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ხუთ წამიანი პაუზა გამოუცდელ ფასილიტატორს შეიძლება მოეჩვენოს ცოტა უხერხულად, ის ძალიან კარგია ჯგუფისგან პასუხის მისაღებად. ყოველთვის გამოჩნდება ჯგუფის ისეთი წევრი, რომელიც ისურვებს სიჩუმის დარღვევას. კვლევა არის უბრალოდ კითხვა ან განცხადება, რომელიც აიძულებს ჯგუფის წევრებს იმუშავონ იმაზე, რაც ითქვა. ქვემოთ მოყვანილია კვლევის რამდენიმე მაგალითი.

- თუ შეგიძლიათ დაწვრილებით განმარტეთ?
- შეგიძლიათ მოიყვანოთ იმის მაგალითი, თუ რას გულისხმობთ?
- დაამატებთ კიდევ რამეს?
- შეგიძლიათ დააზუსტოთ?
- კიდევ რამე არის?

- თქვენ უნდა გქონდეთ საკმარისი ავტორიტეტი, რათა გაუძღვეთ შეხვედრას, მაგრამ საკმარისი მგრძნობელობა, რათა ჩართოთ განხილვაში მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა.
- სთხოვეთ მონაწილეებს დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა ინფორმაციას გაწვდიან, მაგალითად, როდესაც ისინი ისაუბრებენ ცვლილებებზე რომელსაც ისინი ხედავენ თემში „იყო ეს პოზიტიური თუ ნეგატიური ცვლილება?“, „როგორ ფიქრობთ, ეს ცვლილება გაგრძელდება?“
- სესიის ბოლოს, შეაჯამეთ რა ითქვა, მაგალითად:

„ჩვენ განვიხილეთ ცვლილებები ადგილობრივ სერვისებში დღეს და მათი გავლენა ადამიანების ცხოვრებაზე. ჩვენ განვიხილეთ ცვლილებები (ჯანდაცვაში/შემოსავალში და სხვა) და ზოგადად, ადამიანები არიან....”

- სესიის დასრულების შემდეგ უნდა მოამზადოთ დეტალური ანგარიში. სესიის დროს განხორციელებული ნებისმიერი დაკვირვება უნდა ჩაინიშნოთ და ჩასვათ მოხსენებაში.

7) მონაცემთა ანალიზი და მოხსენება:

მონაცემთა ანალიზი შედგება შემოწმებისგან, კატეგორიებად განაწილებისგან, ანკეტირებისგან და იმ „მტკიცებულების“ სხვაგვარად კომბინირებისგან, რომელიც შეგროვდება ფოკუს ჯგუფების დროს კვლევის საწყისი თემების გადასაჭრელად. კვლევის შემდეგ ხორციელდება ანალიზი. ინფორმაციის წყაროები, რომელიც გამოიყენება ანალიზში არის იმ მონაწილეთა შენიშვნები, რომლებსაც დაევლათ შენიშვნების ჩაწერა და ფასილიტატორის შენიშვნები და მეხსიერება.

ფოკუს ჯგუფის მონაცემთა ანალიზი, როგორც წესი, მოიცავს სამ საფეხურს: ინდექსაციას, მართვას და ინტერპრეტაციას. თუმცა, მათთვის, ვისთვისაც ტექნიკა ახალია, რეკომენდებულია ანალიზის გამარტივება.

რეკომენდებულია, რომ შენიშვნები ფოკუს ჯგუფიდან წაკითხულ იქნას რამდენიმეჯერ, ვიდრე არ გახდება ნათელი, რომ ზოგიერთი შეტყობინება გამომდინარეობს მონაცემებიდან. ეს შეტყობინებები წამოჭრილი თემებია. ყოველივე ეს უნდა ჩაიწეროთ. შემდეგ კი მკითხველმა უნდა იხილოს ტექსტის შეუსაბამობები. ამრიგად, მონაწილეთა ერთი ჯგუფი მიუთითებს იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა ცვლილებას, მაშინ, როდესაც მეორე უარყოფს აღნიშნულს. და თუ ეს ასეა, საჭიროა მისი ასახვა. ჩაინიშნეთ ყველა განსხვავება/შეუსაბამობა. შემდეგ დააკვირდით, თუ ვინ რა თქვა. არის თუ არა ჯგუფებში რაიმე მსგავსება? აქვთ თუ არა ახალგაზრდებს ერთნაირი მოსაზრება თემასთან დაკავშირებით? აისახება თუ არა ეს მოხუცების ან ქალების შეხედულებებში? როგორც კი ჩაწერთ აღნიშნულ ინფორმაციას, შეგიძლიათ უწოდოთ მას თქვენი პირველი პროექტი.

ახლა ხელმეორედ გადაიკითხეთ თქვენი პროექტი. ხედავთ რაიმე მსგავსებას ან ცვლილებას იმაში, რაც ითქვა? რა არის თქვენი ძირითადი შედეგი-ანუ ყველაზე აშკარა? ჩამოაყალიბეთ ისინი მეორე პროექტის დასაწყისში. შემდეგ, რამდენადაც შესაძლებელია, დაწერეთ შედეგები მნიშვნელობის რიგითობით. ეს არის თქვენი დასრულებული პროექტი.

ყურადღება მიაქციეთ თქვენი ანგარიშის ხარისხს; არცერთი პირი არ იყოს იდენტიფიცირებული ტექსტში. თუ შესაძლებელია ვინმეს იდენტიფიცირება, შეცვალეთ ტექსტი ან წაშალეთ აბზაცი. გაუზიარეთ ანგარიში კოლეგას ან მერს. სთხოვეთ მათ მისი წაკითხვა და დარწმუნდით, რომ ის გადმოსცემს აზრს. შემდეგ გააკეთეთ საბოლოო ცვლილებები.

კვლევის შემდეგ მომზადებული საბოლოო ანგარიში ხშირად განიხილება ხოლმე ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. შედეგების მოკლე მიმოხილვაში, მონაცემები ხშირად ორგანიზებულია საწყისი კითხვების ირგვლივ, რომელზეც პასუხი გასცა ფოკუს ჯგუფის კვლევამ. ჩვეული მოვლენაა რამდენიმე ძირითადი თემის განხილვა, რომელიც წარმოიშვა თითოეული კითხვისთვის.

ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელოს მაგალითი

დღეს ჩვენ ჩავატარებთ ფოკუს ჯგუფს, რათა განვიხილოთ ადგილობრივი თვითმმართველობის თემა. მადლობა, რომ მონაწილეობთ. ეს ჯგუფი გაგრძელდება 1.5 საათს. ჩემი მოვალეობაა ამ ჯგუფის ფასილიტაცია, რაც ნიშნავს <გთხოვთ აქ ჩაწერეთ როგორ გესმით ის>. დაწყებამდე უნდა განვიხილოთ რამდენიმე ძირითადი წესი <ჩასვით ისინი აქ>. გაქვთ რაიმე კითხვები?

მადლობთ, ახლა დავიწყებთ ჯგუფურ განხილვას.

<ჩასვით აქ თქვენი შესავალი კითხვები, უფრო მარტივი კითხვები>

ახლა თქვენ გადახვალთ სპეციფიკურ კითხვებზე, რომელიც აქტუალურია დღეს.

1) ინიციატივა თქვენს თემში ორიენტირებულია <შეიყვანეთ თემა აქ, მაგალითად, ეთიკის კოდი>. როგორ გესმით ეს თემა როგორც ჯგუფს?

2) არის თუ არა თქვენს თემში ამ პრობლემის გადაჭრის საჭიროება?

3) გამოიწვია თუ არა პროექტმა რაიმე ცვლილება თქვენს ცხოვრებაში ბოლო 6 თვის განმავლობაში? როგორ ფიქრობთ, შეეძლო გამოეწვია რაიმე ცვლილება?

4) თუ ადგილი არ ჰქონია ცვლილებებს, იცით თუ არა რაიმე გამოწვევა ან ფაქტორი, რომელიც აფერხებს პროცესს?

5) რას ურჩევდით მერს როგორც ამ პროექტის მონიტორინგის საშუალებას?

6) კიდევ რამეს ხომ არ დაამატებდით?

ხელსაწყო 5

ინსტრუმენტი წარმატების ისტორია

რა არის წარმატების ისტორია?

წარმატების ისტორია ასახავს იმას, რითიც საპროექტო გუნდი განსაკუთრებით ამაყობს. ეს არის ისტორია, რომელიც მოიცავს პროექტის არსს და მნიშვნელობას და ასევე შეეხება სასურველ ცვლილებებს.

როგორ გამოვიყენოთ მოცემული ინსტრუმენტი?

პროექტის განმავლობაში მერი და მუნიციპალიტეტის გუნდი, რომელიც მონაწილეობას იღებს ინიციატივაში, შესაძლოა წააწყდეს ისეთი ცვლილების მაგალითებს, რომლის გაზიარება მათ სურთ სასწავლო მიზნებისთვის.

მოკლე აღწერილობა

ცოდნის გენერირების სწრაფი და ეფექტური საშუალება.

მისი გაზიარება და შექმნა ადვილია, ამ პროდუქტის გაზიარება შეიძლება ზეპირად (სემინარებზე) ან მისი გამოქვეყნება შეიძლება ინტერნეტში ზოგადი მოხმარებისთვის.

ჯგუფის წევრები ერთად დაწერენ ისტორიას ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

თემა
<შეიყვანეთ ტექსტი>
დამატებითი ინფორმაცია
<შეიყვანეთ ტექსტი>
მანამდე არსებული მდგომარეობა:
გამოიყენეთ სურათები - რა ხდებოდა - გაამახვილეთ ყურადღება შედეგის დონის ანალიზზე
ამჟამინდელი მდგომარეობა: ***ჩასვით ციტატები და სურათები***
რა განხორციელდა მის გამოსასწორებლად?
<შეიყვანეთ ტექსტი>
ანალიზი
<შეიყვანეთ ტექსტი>
დასკვნები:

შემდეგი საფეხურები:
ვისთვის არის ეს სწავლა შესაფერისი ან სასარგებლო?
როგორ გეგმავთ ამის გაზიარებას? არის თუ არა რაიმე დამატებითი სასწავლო პროდუქტი?
სახელწოდება:
ძირითადი ინფორმაცია:

ავტორ(ებ)ი:	**ქვეყანა**	**გრანტის ნომერი (ნომრები):**	**თარიღი:**

წარმატების ისტორიის გასაჯაროება და გავრცელება

ისტორიის გადამოწმების შემდეგ, მისი გაზიარება შესაძლებელი იქნება ზეპირსიტყვიერად სემინარზე ან სათემო ღონისძიებაზე, ასევე შესაძლებელია მისი გავრცელება ბროშურის სახით. ან, წარმატების ისტორიები შეიძლება გამოყენებული იყოს მოკლე ჩანაწერის სახით (მოკლე ტექსტი/ინფორმაცია ველზე) ანგარიშებში ან მუნიციპალიტეტის ვებგვერდებზე. ეს წარმოადგენს დონორებისთვის თქვენი თემის გაცნობის და პრაქტიკისა და სწავლისთვის მზადყოფნის დემონსტრირების ეფექტურ საშუალებას.

ხელსაწყო 6

მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ ისტორიის ნიმუში (არასავალდებულო)

რა არის მნიშვნელოვანი ცვლილების ისტორია?

მნიშვნელოვანი ცვლილების ისტორიები არის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილების მეთოდოლოგიის[6] (MSC) ადაპტირებული და შემოკლებული ვერსია. ეს თვისებრივი მეთოდი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილების განხილვაა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პროექტის/პროგრამის განხორციელების დროს. MSC -ში ჩართული პროცესი ძალიან ზოგადია და საჭიროებს უფრო მეტ დროს, ვიდრე მისთვის გამოყოფილი აქვს ევროპის საბჭოს.

ეს ინსტრუმენტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ თემში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან მოვლენას 6 თვის განმავლობაში, რომელიც მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია.

თუ ისტორია გავლენის შესახებ გახდება ცნობილი, რეკომენდებულია, რომ მუნიციპალიტეტმა განიხილოს ის და გადაწყვიტოს, არის თუ არა საჭირო მისი ჩართვა მოხსენების ფაზაში.

თუ ისტორია იქნება წარმატებული, პირს (ბენეფიციარს) ინტერვიუს ჩაუტარებს მუნიციპალიტეტისგან დამოუკიდებელი პირი. ნიმუშის გამოყენება ასევე შეიძლება როგორც აუდიო ან ვიდეო ჩანაწერების შეგროვების ინიციატივა.

ფორმა

სახელი, გვარი (არასავალდებულო) ან მხოლოდ სახელი:
მამაკაცი/ქალი

ასაკობრივი ჯგუფი: 15 – 34 35 – 54 55 და მეტი

6 http://www.mande.co.uk/docs/MSCGuide.pdf გთხოვთ მიჰყვეთ ბმულს, რათა იხილოთ MSC-ს სახელმძღვანელო.

მოკლე აღწერილობა

ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც აყალიბებს თემის ცოდნას, ცვლის ქცევას და შეიძლება გაზარდოს მონაწილეობა პასიურ მოქალაქეებს შორის.

ეს ინსტრუმენტი მოუთხრობს ხელმძღვანელობას იმის შესახებ, თუ რა არის მნიშვნელოვანი თემისთვის.

მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ ისტორიის ნიმუში

დომენი, გთხოვთ აირჩიოთ ქვემოთ მოცემულიდან და შემოხაზოთ:

მოქალაქეთა მონაწილეობა	ეთიკა
ადგილობრივი თვითმმართველობის გამჭვირვალობა	ყველა

ისტორიის სახელწოდება (შეიძლება შეავსოთ ისტორიის მოყოლის სესიის შემდეგ)

1. მომიყევით თუ როგორ ჩაერთეთ (ისტორიის მთხრობელი) თავდაპირველად პროექტში და რა იყო თქვენი როლი:
2. აღწერეთ ისტორია, რომელიც თქვენი თვალსაზრისით ყველაზე კარგად აღწერს ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებას, რომელიც გამოწვეულია ამ პროექტში თქვენი მონაწილეობით:
3. რატომ იყო ეს ისტორია თქვენთვის მნიშვნელოვანი?
4. რა გამოწვევებს/შესაძლებლობებს ჰქონდა ადგილი პროექტის შედეგად?
5. რამ იმუშავა/ვერ იმუშავა?
6. რა ისწავლეთ?

ძირითადი ციკლის და მონიტორინგის დაგეგმვა

იხილეთ გეგმა თუ როგორ აისახება ყოველივე რეგიონალური პროგრამის საბაზისო გეგმასა და მიმოხილვის გეგმაში. გუნდი ვალდებულია შეაგროვოს მონაცემები, გააანალიზოს ისინი და მოამზადოს ანგარიში. ქვემოთ მოცემულია ამ პროცესის შესაძლო შედეგების მაგალითები.

დავალება	ბოლო ვადა	ინიციატივა	რომელი ინსტრუმენტი და როდის უნდა იყოს გამოყენებული? პრიორიტეტული თანამიმდევრობა	მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ვალდებულება	შედეგი
საბაზისო გეგმა	დაწყებიდან 2 თვის ვადაში	Medium	1. თემის შედეგების ქულების ადაპტირებული ბარათი პროექტის დაწყების ღონისძიებაზე 2. ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუ მერთან ცოდნის მიდგომების და ქცევის მოკლე მიმოხილვა I	1. მუნიციპალიტეტი ატარებს შემოკლებულ კვლევას პრიორიტეტებზე დაყრდნობით. მუნიციპალიტეტი ამზადებს და ავრცელებს შედეგებს. 2. ინტერვიუერი იწერს ინტერვიუს და წარუდგენს მერს. 3. მუნიციპალიტეტი ახორციელებს მიმოხილვის შედეგების ანალიზს და უზიარებს ანგარიშს სხვა დაინტერესებულ მხარეებს.	**ძირითადი ციკლის ანგარიში** შედგება ქულების ბარათის მოკლე ანგარიშის სავარჯიშოსგან და ცოდნის მიდგომების და ქცევის მიმოხილვისგან

მიმოხილვა	ბოლო თვეს	მაღალი	1. ცოდნის დამოკიდებულების და ქცევის მოკლე კვლევა II 2. ფოკუს ჯგუფები (2 თითო მუნიციპალიტეტისთვის), რომლებიც განიხილავენ კვლევისა და პროექტის მსვლელობის დროს წამოჭრილ ნებისმიერ საკითხს. 3. წარმატების ისტორია, რომელიც დაწერ ილია საკუთარი ინიციატივით და მიწოდებულია რეგიონალურ ღონისძიებაზე 4. მერთან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ 5. მნიშვნელოვანი ცვლილების მოთხრობის ინსტრუმენტი (არასავალდებულო)	1. მუნიციპალიტეტი ახორციელებს მეორე კვლევას, კვლევის შედეგების ანალიზს და ადგენს ანგარიშს. 2. მუნიციპალიტეტი ატარებს ფოკუს ჯგუფებს და განიხილავს საკითხებს, რომელიც წამოიჭრება კვლევის დროს და მიღწეულ ცვლილებებს. 3. მერი იწვევს მუნიციპა-ლიტეტის ბენეფიციარებს ან წევრებს წარმატების ისტორიის განსახილველად და შესარჩევად, რის შედეგად ხდება პროექტის შეჯამება. მერი ადგენს ანგარიშს. 4. მერთან მონიტორინგის ინტერვიუ ცვლილებების მონი-ტორინგის მიზნით. 5. თუ ადგილი აქვს მნიშვნელოვან ცვლილებას, ის ჩაიწერება დამოუკიდებელი პირის მიერ.	**6 თვის მიმოხილვითი ანგარიში**, რო-მელიც შეიცავს შემდეგს: i) მეორე KAB კვლევის შედეგებს (რა შეიცვალა 6 თვის განმავლობაში); ii) როგორ განხორციელდა CSC პრობლემების შერჩევა და ანალიზი ფოკუს ჯგუფებში; iii) ზოგადი დაინტერესების საკითხები მერის ინტერვიუდან; და, iv) წარმატების ისტორია.

შენიშვნები

შენიშვნები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია დაეხმაროს და უზრუნველყოს პრაქტიკული საშუალებებით მერები, ადგილობრივად არჩეული წარმომადგენლები და საჯარო მოხელეები, რათა განიხილონ და შეაგროვონ შესაბამისი მონაცემები პროექტებსა და/ან ადგილობრივ ინიციატივებზე. დოკუმენტში წარმოდგენილია შესავალი სახელმძღვანელოები მონიტორინგის და მიმოხილვის 6 ინსტრუმენტისთვის.

ეს სახელმძღვანელო მომზადებულია თემატური პროგრამის "ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერება" ფარგლებში, დაფინანსებულია ევრო კავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ და განხორციელებულია ევროპის საბჭოს მიერ, პროგრამის "პარტიონორბა კარგი მმართველობისთვის (PGG) 2015-2017 სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდავეთის რესპუბლიკა, უკრაინა და ბელორუსია" ფარგლებში.

KAT

The European Union is a unique economic and political partnership between 28 democratic European countries. Its aims are peace, prosperity and freedom for its 500 million citizens – in a fairer, safer world. To make things happen, EU countries set up bodies to run the EU and adopt its legislation. The main ones are the European Parliament (representing the people of Europe), the Council of the European Union (representing national governments) and the European Cmmission (representing the common EU interest).

http://europa.eu

The Council of Europe is the continent's leading human rights organisation. It comprises 47 member states, 28 of which are members of the European Union. The Congress of Local and Regional Authorities is an institution of the Council of Europe, responsible for strengthening local and regional democracy in its 47 member states. Composed of two chambers – the Chamber of Local Authorities and the Chamber of Regions – and three committees, it brings together 648 elected officials representing more than 200 000 local and regional authorities.

http://www.coe.int/congress

EUROPEAN UNION

The Congress
Le Congrès

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE